ო მ ი — ო მ ს!

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას, დაიწყო დიდი სამამულო ომი.

საბჭო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 12 (317) გამოცემის მე-17 წელი

1978 წლის ივნისი



წავიდეს, ველარ — მობრუნდეს?!

ოთახში შემოდის ძაძებმოსილი დედაკაცი...

შვილდაკარგული დედები ერთმანეთს ჰგვანან სათნოებით, სისუსტით, ცრემლებით, მოლოდინით, ძაძებით...

დედა ვერასდროს გუობს შვილის დაკარგვას.

გუშინაც, 21 ივნისს, შემოვიდა დაკარგულის ძაძებმოსილი დედა. ექვსიოდე წლის ქერათმიანი ბიჭუნა ახლდა. ბიჭი თვალებში შეჰყურებდა ბებიას და ისიც მალი-მალ უსვამდა თავზე დამჭკნარ, მაგრამ სითბოშენარჩუნებულ ხელს.

მერე იჯდა დედა და მძიმედ, სვენებ-სვენებით, ცრემლმორეული ხმით გვიამბობდა შვილზე. ჯერ უფროსზე — ვაუზე, მერე უმცროსზე — ქალზე. ამ დედაკაცს უბედურებამ არ მოუსვენა — რამდენიმე თვის წინათ სიკვდილმა ხელიდან გამოაცალა ქალიშვილი, ამ ბიჭუნას დედა... თორმეტი წლის წინათ მიწისთვის მიუბარებია ქმარი: „იმას როდი ვდარდობ, შვილებმა მომიკლეს გული. მარტო დარჩენილს ყველაზე მეტად ჩემი ნოე მიდაღავს გულს. ამათი საფლავები მაინც ვიცი, იმათი მოვლით მაინც ვიჯერებ გულს... ნოეს სახელად კი ორი მეტრი მიწაც არ მაბადია“.

ტიროდა დედა... სვენებ-სვენებით იგონებდა ბედნიერ დღეებს, როცა ჰყავდა ქმარ-შვილი, როცა რაჭაში, სოფელ ბოსტანაში ცხოვრობდნენ ჯოხაძეები. ნოე სკოლაში დადიოდა და სწავლით ახარებდა მშობლებს. საშუალო იქვე დაუმთავრებია, მერე თბილისში წამოსულან. „ისეთი იყო, ისეთი, დედა მოუკვდეს იმას, რომ ავ თვალს არ დაენახვებოდა“.

ომი დაწყებულა. მაღალი, ლამაზი ბიჭი მტერს დახვედრია. შინ გამოგზავნილი ბარათებით დედას ამხნევებდა. ვერაგი და დაუნდობელი გამოდგა ომი. უთვალავი ჯოჯოხეთური გზა-ბილიკი ჰქონდა და ზღაპრად თქმულისა არ იყოს, ბევრის ბედისწერაზე დაეწერა „წავიდეს, ველარ მობრუნდეს“.

ნოე ჯოხაძეც წავიდა და ველარ მობრუნდა. დედა ოცდათორმეტი წელიწადი ინახავს ფრონტიდან მოსულ უკანასკნელ ბარათს — წითელარმიელი ნოე ჯოხაძე უგზო-უკვლოდ დაიკარგაო.

ოცდათორმეტი წელიწადი გავიდა. მას აქეთ დედას შავები აცვია და ცრემლის ზღვა დაუღვრია. ომის მომგონს დღესაც ისევე სწუევლის, როგორადაც სწუევლიდა 1941 წლის 22 ივნისს და იმ ავბედით დღეს, როცა უკანასკნელი მეხისდმცემი ბარათი მიიღო ფრონტიდან.

დედა ვერასდროს იგუებს შვილის სიკვდილს.

ეტყობა პატარა იმედი უბუუტავს და ეძებს უგზო-უკვლოდ დაკარგულ ძეს. ოღონდაც, ოღონდაც, ნუმც მოეშალოს იმედი ნოე ჯოხაძის დედას, ყველა დაკარგულის დედას!

...თვალცრემლიანმა ბებიამ ერთხელ კიდევ ჩაიკრა შვილიშვილი. წამოდგა, დაგვემშვიდობა და ლასლასით გასწია შინისკენ. პატარა ნოე, რომელმაც ჯერაც არ იცის, რისთვის დაარქვეს ეს სახელი, შვლის ნუკრივით გაჰყვა ბებიას.

მადიოდა ქმარდაკარგული, შვილებდაკარგული დედაკაცი და ომის მომგონს სწუევლიდა, თავისი დიდი უბედურების სამაგიეროს ქალურად უხდიდა მეოცე საუკუნის ვანდალებს, იმათ, ვინც შვილი დაუკარგა, ვინც კერა მიუნელა, მაგრამ ვერკი ჩაუქრო, ვერა, იქ ცხოვრების იმედად პატარა ნოე ანთია თავისი გულით, ნათელი აწმყოთი და ბედნიერი მომავლით.

დიდხანს ეცოცხლოს ნოეს დედას ნოეს სამახსოვროდ, პატარა ნოეს ფეხზე დასაყენებლად და იმისათვის მადლის სათქმელად, ვინაც ყველაფერს აკეთებს მშვიდობისათვის, ვისაც სამშობლოს დროშაზე მშვიდობისათვის ბრძოლა უწერია!

მშვიდობის მისია ამერიკის შეერთებულ შტატებში

1973 წლის 16 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი **ლ. ი. ბრეჟნევი** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის **რ. ნიქსონის** მიწვევით ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ალმებით მორთულ ენდრიუსის აეროდრომზე, ვაშინგტონის მახლობლად, **ლ. ი. ბრეჟნევსა** და მის თანმხლებ პირებს **ა. ა. გრომიკოს, ნ. ს. პატოლიჩევს, ბ. პ. ბუგაევს, გ. ე. ცუკანოვს, ა. მ. ალექსანდროვს, ლ. მ. ზამიატინსა** და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი **უ. როჯერსი,** სახელმწიფო მდივნის თანაშემწე **უ. სტესელი,** თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში **ა. თ. დობრინინი,** სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში **ი. ა. მალიკი,** საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები.

18 ივნისს თეთრ სახლთან გაიმართა შეხვედრის ოფიციალური ცერემონია. დილის 10 საათსა და 30 წუთზე კემპ-დევიდიდან წამოსული სავანგებო ვერტმფრინავი დაეშვა თეთრ სახლთან. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს გულთბილად მიესალმნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი და მისი მეუღლე.

საპატრო სტუმარს და მის თანმხლებ პირებს მიესალმნენ შეხვედრის კომიტეტის წევრები.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა.



ვაშინგტონი, 18 ივნისი. ლ. ი. ბრეჟნევი და რ. ნიქსონი მოლაპარაკების დროს

რიჩარდ მ. ნიქსონმა საგანგებო აღნიშნა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის პატივსაცემად, რომლის დროსაც რ. ნიქსონმა აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელმაც საპასუხო სიტყვა წარმოთქვა.

19 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ფრანკლინის დარბაზში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევისა** და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის **რ. ნიქსონის** თანდასწრებით ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების მთელ რიგ შეთანხმებებს.

ხელი მოაწერეს შეთანხმებებს სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მსოფლიო ოკეანის კვლევის დარგებში თანამშრომლობის შესახებ და ზოგად შეთანხმებას კონტაქტების, გაცვლისა და თანამშრომლობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით შეთანხმებებს ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ა. ა. გრომიკომ,** ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით — ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა **უ. როჯერსმა.** სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრმა **ა. ა. გრომიკომ,** ამერიკის შეერთებული შტატების სახელით — სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ე. ბატცმა.**

20 ივნისს თეთრ სახლში მოლაპარაკებას განაგრძობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი** და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **რ. ნიქსონი.** განიხილეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის საკითხები.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ გასული წლის მანძილზე მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი ამ ურთიერთობის განვითარებაში. განიხილეს ორ ქვეყანას შორის გრძელვადიან ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე ფართო მასშტაბების სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზები და ფორმები.

მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი **ნ. ს. პატოლიჩევი,** სამოქალაქო ავიაციის მინისტრი **ბ. პ. ბუგაევი,** სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში **ა. თ. დობრინინი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები **გ. ე. ცუკანოვი, ა. მ. ალექსანდროვი.**

ამერიკის მხრივ — სახელმწიფო მდივანი **უ. როჯერსი,** ფინანსთა მინისტრი **ჯ. შულცი,** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწენი **ჰ. კისინჯერი, პ. ფლენიგანი, ჯ. კონელი** და თეთრი სახლის პასუხისმგებელი თანამშრომელი **ჰ. სონენფელდი.**

„გამოფენა გაგვაოცა“ — ამბობენ დასავლეთბერლინელები

დასავლეთ ბერლინში 30 აპრილიდან 13 მაისამდე მოეწყო საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა. ჩვენი კორესპონდენტი **ლია მიქაძე** ეწვია საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **რაფიელ ელიგულაშვილს** და რამდენიმე კითხვით მიმართა:

● „სამშობლოს“ მკითხველებისათვის ცნობილია, რომ ეს გამოფენა იყო ჩვენი ქვეყნის მიღწევათა პირველი ჩვენება დასავლეთ ბერლინში. რა იყო მისი მიზანი?

— გამოფენის მიზანი იყო სავაჭრო, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაფართოება დასავლეთ ბერლინთან.

● საბჭოთა კავშირის სხვადასხვა გამოფენასა თუ ბაზრობაზე, რომლებიც უცხოეთში იმართება, საქართველოს ხშირად აქვს დამოუკიდებელი განყოფილება. რითია ეს გამოფენა განსხვავებული?

— საქართველოს ექსპოზიციაში კარგად ჩანს ის დიდი წარმატებანი და მიღწევები, რაც მოიპოვეს მოძმე რესპუბლიკებმა საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ურთიერთდახმარებითა და მეგობრული მხარდაჭერით. საქართველოს მაგალითზე დამთვალიერებლებს შეუძლიათ გაეცნონ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების საექსპორტო შესაძლებლობებსა და სავაჭრო-ეკონომიურ კავშირებს.

● გვიამბეთ გამოფენის ექსპოზიციაზე.

— საბჭოთა კავშირის გამოფენას 4 500 კვადრატული მეტრი ეჭირა, აქედან საქართველოს 1 000 კვადრატული მეტრი ჰქონდა დათმობილი საგამოფენო დარბაზის დასავლით ნაწილში. სტუმრები მთელი გამოფენის დათვალიერების შემდეგ საქართველოს განყოფილებით ამთავრებდნენ „მოგზაურობას“ ჩვენს ქვეყანაში. „სამშობლოს“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ გამოფენის ექსპონატების მომზადებაში მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის 82 დაწესებულება, რომ გამოფენის ხასიათი ოთხი ძირითადი თემით განისაზღვრებოდა — ტექნიკა, მეცნიერება, ფართო მოხმარების საგნები და კულტურა. დამთვალიერებლებს ჩვენს რესპუბლიკაზე მოვუთხრობით აგრეთვე ფერადი სლაიდების და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და სარეკლამო ფილმების ჩვენებით. გამოთქმა მხატვრულად გააფორმა მხატვართა ჯგუფმა რამაზ კიკნაძის მეთაურობით და შოთა ყავლაშვილის მხატვრული ხელმძღვანელობით.

● ყველაზე მეტად რა იზიდავდა დამთვალიერებლებს?

— საქმიანი პირები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ფოთური წყალქვაშფრთიანი თბომავალი „კომეტისა“ და ბათუმური კატარღების მაკეტებით, ელექტრომემდოებელ ტრაქტორ ტს-32-ით, ღვინის საწური კარუსელური ხაზის მოქმედი მოდელით. წარმატება ჰქონდათ ჭართულ ღვინოებსა და კონიაკებს. დიდ მოწონებას იმსახურებდა გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები — ჭიდურობა, ხის ნაწარმი, შავი კერამიკა. განსაკუთრებით ხელით ნაქსოვი ალვანური და თუშური ხალიჩები, ფარდაგები და ხურჯინები. სტუმრებს მოეწონათ აგრეთვე თბილისის ექსპერიმენტულ საბავშვო ფაბრიკაში დამზადებული ეროვნული სტილით გადაწყვეტილი სასტუმრო ოთახის ავეჯი. მხატვრულ გაფორმებაში გამოყენებული დეკორატიული ნიმუშები — ნოდარ ჯრგვლიძის შესრულებული ჭიდური ჭაღი, აგრეთვე ქარი და ჩარჩოები — „ბალთები“, რომლებიც ძველი ქართული ვერცხლის ჭამრის მოტი-

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

კვირას, 1973 წლის 17 ივნისს, გაიმართა მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები.

არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობდა საბჭოთა ადამიანების მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში, რომლებიც ისწრაფვიან ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, დამკვრელური შრომით უპასუხონ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კენჭისყრა დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე ადგილობრივი დროით. არჩევნებმა ყველგან ჩაიარა ორგანიზებულად, კვლავ ცხადყო რესპუბლიკის მშრომელთა ერთიანობა და შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად არჩეული არიან მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები.

სულ ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია 49131 დეპუტატი.

დეპუტატთა შორის არიან:

სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები — 21443 ანუ 43,6 პროცენტი; უპარტიოები — 27688 ანუ 56,4 პროცენტი.

მუშები და კოლმეურნეები — 32726 ანუ 66,6 პროცენტი;

ქალები — 23109 ანუ 47,0 პროცენტი.

ოვი—ოვს!

როგორ ეძებდნენ ჰიტლერის ბანაკს

გამოვიდა წიგნი ლეგენდარულ მზვერავზე — ნიკოლოზ კუზნეცოვზე. წიგნის ავტორები ბრიან ა. ლუკინი და ტ. გლადკოვი. გაქვეყნებთ ნაწყვეტს, სადაც მოთხრობილია, როგორ აღმოაჩინა ნ. კუზნეცოვმა ჰიტლერის ბანაკის ადგილმდებარეობა.

* * *

...რაზმმა მოსკოვიდან ახალი დავალება მიიღო. ცენტრი აცნობებდა, ზოგიერთი მონაცემით, ჰიტლერმა თავისი ბანაკი სადღაც, უკრაინაში გადაიტანაო. ნაბრძანები იყო, უახლოეს დროში დაედგინათ ბანაკის ზუსტი ადგილსამყოფელი.

მზვერავებს ლამის სუნთქვა შეეკრათ: აი დავალება — იპოვო ჰიტლერის ბანაკი! მათ კარგად ესმოდათ, რომ საკმარისი არ იყო მგლის ბუნაგის კოორდინატების აღნიშვნა რუკაზე. ამას უნდა მოჰყოლოდა აქტიური მოქმედებაც. მაგრამ უკრაინა რომ ვრცელია, მის რომელ კუთხეში უნდა მოიძებნოს ბანაკი?

საჭირო იყო რაიონის ანალიზით დადგენა. გამოითქვა მოსაზრება, რომ ჰიტლერი არ დასახლდებოდა სახიფათო ზონაში ფრონტის მახლობლად. გამოირიცხა ავრეთვე რაიონები, სადაც გაცხოველებული პარტიზანული ბრძოლები მიმდინარეობდა. მიახლოებით, გამორიცხვის ამ მეთოდით აკლდებოდა ხან ერთი, ხან მეორე ქალაქი, სანამ რაზმის ხელმძღვანელობა არ მივიდა დასკვნამდე, რითაც საძიებო წრე ოთხი გეოგრაფიული პუნქტით შემოიფარგლა: როვნო, ლუცკი, კიევი, ვინიცა. ცხადია, მზვერავებს კარგად ესმოდათ, რომ ჰიტლერის ბანაკი გულმოდგინედ იყო შენიღბული და მას საგანგებოდ იცავდნენ.

ოთხი ქალაქიდან მალე გამოითიშა როვნო. რაზმის მზვერავებმა ვერც ქალაქში, ვერც ოლქში ვერ აღმოაჩინეს ისეთი ვერაფერი, რაც ბანაკის იქ ყოფნაზე მიუთითებდა. შემდეგ გამოირიცხა ლუცკი — მზვერავებმა ის საკმაოდ კარგად შეისწავლეს. გამოირიცხა კიევიც. რჩებოდა ვინიცა...

ცნობილი გახდა, რომ ზაფხულში, სადღაც, ვინიცას მახლობლად, გერმანელები დიდ მშენებლობას აწარმოებდნენ. საეჭვო იყო, რომ გერმანელებს რაიმე საიდუმლო თავდაცვითი ნაგებობა აეგოთ ვინიცასთან მაშინ, როცა საქვეყნოდ გაჰკიოდნენ — საცაა ბოლშევიკებზე საბოლოოდ გავიმარჯვებთო. რასაკვირველია, უველასთვის ცხადი იყო, რომ ჰიტლერის ბანაკი იქნებოდა უმტკიცესი ნაგებობა, რომელიც უზრუნველყოფდა ფიურერის უშიშროებას ჰაერიდან დაბომბვის, პარტიზანების თავდასხმისა თუ საპარაშუტო დესანტის შემთხვევაში.

ყველა ეს ეჭვი თუ მოსაზრება თითქმის მტკიცე რწმენად იქცა როვნოდან კუზნეცოვის მორიგი დაბრუნების შემდეგ. კუზნეცოვის „მეგობარი“, უშიშროების სამსახურის თანამშრომელი უიტომირში გამოიძახეს თვით „ესესის“ რაიხსფიურერთან. მაგრამ რაიხსფიურერი მას იქ არ დახვედრია, რადგან თვითონაც რამდენიმე დღით სასწრაფოდ გამოეძახათ სადღაც ახლოს (ყოველ შემთხვევაში, ბერლინში არა), ხოლო ჰიმლერის გამოძახება მხოლოდ ჰიტლერს შეეძლო. ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ფიურერის ბანაკი სწორედ ვინიცაში ან მის მიდამოებში იმყოფებოდა. ოღონდ ზუსტად უნდა განესაზღვრათ მისი ადგილსამყოფელი, გაერკვიათ, რას წარმოადგენდა იგი და როგორ იცავდნენ. ამ ამოცანების გადასაწყვეტად სათუო გზები აღარ გამოდგებოდა. უნდა „გამოეჭრათ“ ბანაკში მიღებული ან კარგად ინფორმირებული კაცი. და წარმოიშვა იდეა მოძრავი ხაფანგის შესახებ, ან როგორც კუზნეცოვი ამბობდა, საჭირო იყო „იწდაურებზე ნადირობა“.

...პირქუშად მოღრუბლულ დღეს სოფელ რუდნი-ბობროვკის მახლობლად ტყიდან გზაზე გამოვიდა ოცამდე პოლიციას ჯგუფი. ჭრელად ეცვათ: ზოგს არმიული მოკლე ქურქი, უკრაინული სვიტი, გერმანული ფარაჯა, ყურებიანი ქუდი, გაბურძგნული სატი... ბინდდებოდა, როცა კოლონამ შარაგზიდან კორცისაკენ გადაუხვია. ხანგამოშვებით ჯგუფს ორსავე მხრიდან გერმანული სატვირთო ავტომანქანები ჩაუქროლებდნენ ხოლმე. ზოგჯერ მსუბუქი მანქანებიც გამოჩნდებოდნენ. მანქანის კაბინაში ოფიცრის კეხიანი ქუდი რომ გამოჩნდებოდა, გერმანელი ლეიტენანტი, რომელიც ჯგუფს წინ მიუძღოდა, მისალმების ნიშნად მარჯვენას აიქნევდა.

მოსახვევიდან სიჩქარის შეუნელებლად გამოვარდა მანქანა. ჯგუფის მეწინავე პოლიციის რომ გაუსწორდა, რევოლვერმა გაიტაკაცუნა. იმავე წამს მეორე პოლიციამ ტანკსაწინააღმდეგო უყმბარა იძრო და აუჩქარებლად, ზუსტი მოძრაობით, თითქოს საწვრთნელ ვარჯიშზეაო, მანქანის ქვეშ შეაგდო.

ლითონის აბოლებულ ჯართთან პირველად „პარაბელუმიანი“ ოფიცერი მიიჭრა. „ოპელის“ კაბინაზე თვალის ერთი გადავლებითაც მიხვდა, რომ აქ ცოცხალი არავინ იყო და სირბილით მოსულ „პოლიციაებს“ რუსულად უბრძანა:

— აიღეთ ქაღალდები, დოკუმენტები, იარაღი!

ის-ის იყო პარტიზანებმა განკარგულება შეასრულეს, რომ მოსახვევიდან კიდევ ერთი ყვითელფარებიანი მანქანა გამოიჭრა. ყვითელი ფარების ტარების უფლება კი დართული ჰქონდათ... მხოლოდ უფროსების მანქანებს. ხელის ტყვიამფრქვევის გრძელი რიგი. მერე სიჩუმე ჩამოწვა. პარტიზანებს კაბინაში მოკლული მძღოლი და რამდენიმე გვამი დახვდათ. დაჭავშნული ძარის კედელს ამოფარებული ორი ოფიცერი გადარჩენილიყო, მაგრამ მანქანის მოულოდნელი შეჩერებით თავი რაღაც მაგრისათვის მიერტყათ და გონება დაეკარგათ. მათგან ერთი — პოლკოვნიკის სამხრეებიანი — კვლავაც ნერვულად იხუტებდა დიდ ყვითელ პორტფელს.

საიდუმლო დოკუმენტების სქელ დასტაში, რომელიც სანუკვარ ყვითელ პორტფელში აღმოჩნდა, კუზნეცოვის განსაკუთრებული უურადღება მიიპყრო ტოპოგრაფიულმა რუკამ. ახსნა არ იყო საჭირო — ამ რუკას დიდი მნიშვნელობა და ფასი ჰქონდა საბჭოთა სარდლობისათვის... დაკითხვისას ტყვედ აყვანილმა ოფიცრებმა ჰაერმა და რაისმა დაწვრილებით განმარტეს იგი. ერთ რამეზე კი ჯიუტად დუმდნენ: არას ამბობდნენ, რას ნიშნავდა წითელი ხაზი, რომელიც ვინიცას მახლობლად მდებარე სოფლებს — იაკუშინცასა და სტრიუკას შორის იწყებოდა და ბერლინში მთავრდებოდა.

— სახელმწიფო საიდუმლოებაა, — ჯიუტად იმეორებდა ორივე ოფიცერი.

მესამე თუ მეოთხე დღეს რაისმა მაინც გამოსცა:

— ეს არის მიწისქვეშა საიდუმლო დაჯავშნული კაბელი.

— რისთვის გაიყვანეს იგი? — ჩაეკითხა კუზნეცოვი.

— პირდაპირი კავშირისათვის ბერლინსა და იაკუშინცას შორის.

— რატომ?

რაისმა უპასუხა:

— იაკუშინცაში არის ფიურერის საველე ბანაკი.

ჰაანი ყველაფერს მოჰყვა, რაც რაისმა არ იცოდა. ბანაკი მოთავსებული იყო სოფელ კოლო-მიხაილოვკიდან ორ კილომეტრზე, ფიჭვნარში, ვინიცა კიევის დამაკავშირებელი შარაგზიდან აღმოსავლეთით 200 მეტრზე, ბანაკის ჩრდილოეთით იყო დიდი სტრატეგიული აეროდრომი ჰაერიდან თავდასხმის თავიდან ასაცილებლად.

თვითონ ბანაკი წარმოადგენდა საინჟინრო-ფორტიფიკაციური ტექნიკის უკანასკნელ სიტყვას. მისი პირობითი კოდური სახელწოდება იყო ობიექტი „ვერვოლფი“ („მაქცია“).

ფიურერის მთავარი ბინის ბუნკერი, თავშესაფარი, სასამსახურო ღრმად იყო მიწის ქვეშ მოთავსებული. კედლები და ჭერი 3-5 მეტრიანი რკინა-ბეტონისა იყო. ყველა ნაგებობას შემოვლებული ჰქონდა ორი მეტრი სიმაღლის სქელი ფოლადის ბადე, რომლის ერთი მეტრი მიწაში იყო ჩაფლული. ბადის გარდა, რამდენიმე რიგად გაყოლებული იყო ელექტრიანი მავთულხლართები, რომელშიც დენი გადიოდა. ღობე ელექტროსიგნალიზაციით იყო აღჭურვილი.

...ტყის ჩრდილოეთით ელექტროსადგურია. ორი რადიოსადგური, წყალსაცავი, წყალსადენი. ფიურერისათვის აშენებულია ერთსართულიანი აგურის სახლი. შენიღბვის მიზნით იგი გარედან ფიჭვის მორებით არის აფიცრული. სახლიდან თავშესაფარში მიუყვება რკინა-ბეტონის მიწისქვეშა გვირაბი. სახლის წინ ბეტონის აუზია, ყვავილნარი. ფიურერს ძალიან უყვარს ყვავილები...

ბერლინს გარდა, „ვერვოლფი“ მიწისქვეშა კაბელებით დაკავშირებულია კიევთან, ხარკოვთან, დნეპროპეტროვსკისთან, როსტოვთან და უიტომირთან, სადაც „ესესის“ რაიხსფიურერის ჰიმლერის საველე ბანაკია მოთავსებული. ტყის ირგვლივ 36 სათვალთვალო კოშკია... ტყიდან 5 კილომეტრზე ბანაკი სამი მხრიდან დაცულია შენიღბული ტანკსაწინააღმდეგო ბატარეებით, მეოთხე მხარეს კი, ტყეში განლაგებული ბატარეის გარდა, რკინიგზის ხაზის — კალინოვკა-ვინიცას გასწვრივ, განუწყვეტლივ დადის ჯავშნოსანი. ტყეში და ტყის ირგვლივ სახლებში მოთავსებული არიან ბანაკის შინაგანი დაცვის „ესესის“ ჯარები. ყოველი 200 მეტრის შემდეგ — სპეციალური საიდუმლო საგუშაგოა. დაწესებულია უმკაცრესი რეჟიმი. ყველა გარეშე პირი, რომელიც რაიმეს შეიტყობს ბანაკზე, დაუყოვნებლივ იხვრიტება...

ობიექტ „ვერვოლფის“ საიდუმლომ არსებობა შეწყვიტა. დაწვრილებითი ინფორმაცია ჰიტლერის ბანაკის ადგილსამყოფელის შესახებ მოსკოვს ეცნობა.

თარგმნა **ლია ჩიქოვანმა**

ვებზე იყო შესრულებული და რაც ერთ-ერთმა ფირმამ შეიძინა დასავლეთ ბერლინში ამჟამად მშენებარე უზარმაზარი სასტუმროს კომპლექსის გასაფორმებლად.

● ვინ იყვნენ გამოფენის სტუმრები?

— თოთხმეტ დღეში გამოფენა 30 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. ჩვენი სტუმრები იყვნენ დასავლეთ ბერლინის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოფიციალური პირები, მათ შორის: დასავლეთ ბერლინის მმართველი ბურგომისტრი ბატონი შუტცი, დასავლეთ ბერლინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომერციული დირექტორი ბატონი შტაინი, ეკონომიკის სენატორი ბატონი ქიონიგი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის ფედერალური მინისტრი ბატონი ფრიდერიქსი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატების გაერთიანების პრეზიდენტი ბატონი ოტო ვოლფ ფონ ამერონგი, სხვადასხვა ფირმისა და გაერთიანების წარმომადგენლები, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები, სხვადასხვა სპეციალობისა თუ უბრალო პროფესიის ადამიანები. გამოფენის სტუმრები იყვნენ საბჭოთა კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიხეილ ეფრემოვი და საელჩოს სხვა ოფიციალური პირები.

● როგორ მოეწონათ დასავლეთბერლინელებს საქართველოს განყოფილება?

— ეს ყველაზე კარგად შთაბეჭდილებათა წიგნიდან ჩანს, სადაც ბევრი გულთბილი სიტყვა ჩაწერეს უბრალო გერმანელებმა თუ საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა. გთავაზობთ რამდენსამე ამონაწერს:

„ეს გამოფენა ბევრ ადამიანს, რომელიც უხდობლად უყურებდა საბჭოთა კავშირს, აზრს შეაცვლევინებს“.

„აქ ყველაფერი კარგია, ყველაფერი მშვენიერია, რომ გაგიხარდება, ისეთი“.

„განსაკუთრებით მომეწონა ზღაპარივით ამღერებული ლითონი და კერამიკა“.

„ეს გამოფენა ხელს შეუწყობს სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას დასავლეთ ბერლინსა და საბჭოთა ჩვეყანას შორის. იგი კიდევ ერთი დადასტურებაა სხვადასხვა სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობისა“.

„ვუსურვებ საბჭოთა კავშირს წარმატებით ეკლოს პროგრესისა და კომუნიზმის გზაზე“.

„ძალზე მომეწონა ეს უნაკლო გამოფენა, განსაკუთრებით საბჭოთა საქართველოს სტენდები და მოდები“.

„ნაციზმისა და საკუთარი სიბრიყვის გამო 6 წელიწადი ტყვედ ვიყავი რუსეთში. საკუთარი თვალით მინახავს ჩვენს მიერ გაპარტახებული მიწები. ამიტომ განსაკუთრებით მიხარია, თქვენს ესოდენ დიდ წარმატებას რომ ვხედავ“.

„საუცხოოა საბჭოთა საქართველოს სტენდები. იგი სურვილს მიღვიძებს ჩამოვიდე სტუმრად თქვენს მშვენიერ სამშობლოში“.

„მე ვყოფილვარ საქართველოში და ძალიან მიხარია, რომ ყველაფერ შევხვდი მას აქ, დასავლეთ ბერლინში. ეს შეხვედრა ლამაზი საჩუქარია ჩემთვის“.

„გამოფენამ გაგვაოცა“.

ქართული ჩანაწერები სხვაც ბევრია.

გამოფენის არაერთი დამთვალიერებელი გამოთქვამდა სინანულს, რომ არ შეეძლო შეეძინა ექსპოზიციის ესა თუ ის ნიმუში.

● გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართული მოდებიც.

— საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მოდელების სახლს დიდი წარმატება ჰქონდა. მოდელების ჩვენება დღეში სამჯერ ეწყობოდა, ყოველთვის ხალხით გაჭედილ დარბაზში. არ ყოფილა მოდელი, ტაშით რომ არ დაეჯილდოებინათ. ყოველი დემონსტრირების შემდეგ დამთვალიერებლები მოდიოდნენ და სურველს გამოთქვამდნენ, შეეძინათ მთელი კოლექცია. ტელევიზიამ საკმაოდ ვრცელი გადაცემა მიუძღვნა ჩვენს მოდელებს. პრესაში და შთაბეჭდილებათა წიგნში ბევრი იწერებოდა „ფერიების მსგავს ლამაზ ქართველ ასულებზე“.

● გამოფენის ტერიტორიაზე არსებულ რესტორან „პალას ამ ფუნქტურში“ ორი ქართველი მზარეული იყო მიწვეული. როგორ მოეწონათ რესტორნის სტუმრებს ქართული სამზარეულო?

— დასავლეთ ბერლინის ფირმა „შადე და ვოლფის“ მიწვევით, სასტუმრო „იმპერიის“ ორი მზარეული — ოთარ გრძელიშვილი და ომარ გოჩსაძე ქართულ კერძებს ამზადებდნენ სტუმართათვის. გამოფენის დამთვალიერებლებმა ბევრი საქებარი სიტყვა ჩაწერეს მათი მისამართით. აი ერთი ამონაწერი: „საინტერესოა ქართული სამზარეულო. განსაკუთრებით მომეწონა წვნიანი კერძები. ალბრი იქნება, თუ ახლო მომავალში დასავლეთ ბერლინში მოეწყობა კულინარული ბაზრობა“.


ხოლო ფირმის მფლობელებმა საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენის დირექტორს მოსწერეს: „გრძელიშვილმა და გოჩსაძემ საოცრად კარგი კონტაქტი დაამყარეს ჩვენს თანამშრომლებთან. იმდენად კარგი, რომ ისინი გულსტკივილით მოელიან 13 მაისს, დღეს, როცა ეს ორი სპეციალისტი დაგვტოვებს. თქვენმა წარმომადგენლებმა ბევრი კარგი რამ ასწავლეს ჩვენებს, ამას იქით სხვა გამოფენებისა და მეჯლისების დროს საშუალება გვექნება სტუმრებს შევთავაზოთ ქართული კერძები. ჩვენი ფირმა დაბეჭდითებით ამტკიცებს, რომ თქვენი მზარეულების მეთხებით ჩვენმა მზარეულებმა გააუმჯობესეს მუშაობა. მოხარული ვიქნებით, თუ ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება“.

● ვინ გამოიჩინა თავი მასპინძლობით?

— გამოფენაზე გაწეული მუშაობისათვის მადლობა გამოეცხადა მთელ კოლექტივს.

● რას იტყოდით საქართველოს სავაჭრო პალატის შემდგომ გეგმებზე?

— საქართველოს სავაჭრო პალატისათვის ამ გამოფენაზე მონაწილეობა მეათე მოგზაურობა იყო ულცხოეთში. ათიდე შეხვედრა ულცხოელ დამთვალიერებლებთან წარმატებით წარვმართეთ. ამჟამად ვემზადებით იზმირის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე მონაწილეობისათვის, რომელზედაც საქართველო უკვე მესამედ დაიცავს თავის პრესტიჟს. იგი 20 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე გაიმართება.



საქართველოს განყოფილების ერთ-ერთი კუთხე


საქართველოს




ბათუმის სანაპირო



მწვანე კონცხი



წყალტუბო. სანატორიუმი „მერანი"



ახალი ათონი. „ველის ტბა"

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად ჩვენი ქვეყნის კურორტები შევიდნენ მშრომელთა მასების ჯანმრთელობის დაცვის ოჭროს ფონდში.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა შორის საქართველოს კურორტებმა საყოველთაო აღიარება და პოპულარობა მოიპოვეს თავიანთი უმდიდრესი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით, ჰავის მრავალფეროვნებით, სამკურნალო მინერალური წყლებითა და ტალახებით, კურორტების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, პოლიკლინიკების, საბაზანო შენობების სიუხვითა და მრავალფეროვნებით. დღითიდღე იზრდება საკურორტო-სანატორიულ მკურნალობაზე მოთხოვნილება. ჩვენი კურორტები დღეს უცხოელთა დასასვენებელი ადგილიც არის.

საზაფხულო შვებულებების ხანა რომ დგება და თითქმის ყველა ოჯახში იწყება გაცხოველებული მსჯელობა დასასვენებელი ადგილის შესარჩევად, საქართველოს ჯანმრთელობის კერებსა და ტურისტულ სვლაგზებს ერთ-ერთ პირველ ადგილს მიაკუთვნებენ, თუმცა ისიც სათქმელია, რომ საქართველოს კურორტები წელიწადის ყველა დროს უამრავ დამსვენებელს იზიდავენ. შავი ზღვის სანაპირო კურორტები სუბტროპიკული ჰავით, მაღალმთიანი კურორტები ბახმარო და ბაკურიანი — ალპური ჰავით, უხვი დებიტის მქონე მინერალური წყაროების დიდი რაოდენობა, სხვადასხვა პროფილის კურორტები — ჩვენში დასვენებისა და ჯანმრთელობის აღდგენის შესანიშნავ პირობებს ქმნიან.

დღეს რესპუბლიკაში თითქმის 100 კურორტია, 83 სანატორიუმი, 43 დასასვენებელი სახლი, 42 პანსიონატი. ყოველწლიურად საქართველოში მკურნალობს და ისვენებს ორგანიზებულად და, თუ შეიძლება ითქვას, „არაორგანიზებულად", მილიონ 700 ათასამდე კაცი.

გავიხსენოთ წარსული...

ამბად მოაღწია ჩვენამდე XII საუკუნის ლეგენდამ უსახელო მწყემსის შესახებ, რომელმაც ნატკენი ფეხი ცხელი წყლით სავსე ორმოში ჩაჰყო და პირველმა აღმოაჩინა წყალტუბოს წყლების განსაცვიფრებელი სამკურნალო თვისებები. საუკუნეები მისდევდნენ ერთმანეთს, ლეგენდა თაობიდან თაობას გადაეცემოდა, წყალტუბო კი ისევ ხელშეუხებელი რჩებოდა. ჭებში, საიდანაც მძლავრად დიოდა ცხელი წყალი, თოკმობმული ავადმყოფები ეშვებოდნენ...

ბორჯომის სამკურნალო წყლების ქება სწრაფად გავრცელდა კავკასიაში, რუსეთში, მის საზღვრებს გარეთ, მაგრამ მისი მადლი დიდხანს რჩებოდა მხოლოდ შეძლებული ადამიანების საკარმიდამო ფუფუნებად, ერთი უწყების გამგებლობიდან მეორეში გადადიოდა, თუმცა მეპატრონის ცვლას არავითარი სარგებლობა არ მოუტანია არც მისთვის, არც ხალხისათვის. ბოლოს იმპერატორმა ალექსანდრე II „ბორჯომის მამული თავისი ტყეებით, ველებითა და წყლებით" უბოძა მიხეილ რომანოვს, რომელმაც იგი თავის მაიორატად აქცია.

კურორტის განვითარება კუს ნაბიჯებით მიიწევდა წინ. მკურნალობის სწორ მეცნიერულ წარმართვაზე არავინ ფიქრობდა. ბორჯომში არ იყო არც ერთი მუდმივმოქმედი სამკურნალო დაწესებულება. მთელი სამედიცინო სამსახური ამოიწურებოდა ერთი-ორი ექიმით, რომლებიც მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიოდნენ მდიდარ ავადმყოფთათვის.

დაუზოგავად ნადგურდებოდა უზარმაზარი ტყის მასივები...

საქართველოს მარგალიტი — გაგრა და მისი ახლომდებარე მიწები იმპერატორის ნათესავის — პრინც ოლდენბურგის საკუთრება იყო.

გუდაუთაში, დღეს საქვეყნოდ ცნობილ კურორტზე, მდიდართათვის ხელმისაწვდომი მხოლოდ რამდენიმე კერძო აგარაკი არსებობდა.

ბრწყინვალე კლიმატური მონაცემებით ცნობილ კურორტ ახალ ათონში სამღვდელოება ეძლეოდა განსასვენრომას.

სოხუმში, რომელსაც თავისი ბუნებრივი ფაქტორებით ცნობილი საბჭოთა და უცხოელი ექიმი-კლიმატოლოგები საქვეყნოდ განთქმულ ნიცაზე მაღლა აყენებენ, ორადორი — 30 და 50-საწოლიანი პანსიონატი მოქმედებდა.

აბასთუმანი თავისი განსაკუთრებული კლიმატური თავისებურებებით, ცხელი მინერალური წყაროებით, მთის მომხიბლავი ბუნებით არ ჩამოუვარდება საქვეყნოდ აღიარებულ შვეიცარიის მთის კურორტებს. ეს შესანიშნავი აგარაკი რუსეთის მეფისწულ გიორგის დასასვენებელი და სამკურნალო ადგილი იყო. საკარმიდამო ადგილები თბილისის მიდამოებში—კოჯორი და მანგლისი — მეფის ნაცვლის კანცელარიის მოხელეებისა და სხვათა საზაფხულო რეზიდენციები იყო.

საქართველოს ყველა კურორტზე პრიმიტიული და სავალალო მდგომარეობა სუფევდა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დაიწყო ჩვენი კურორტების ჭეშმარიტი განვითარება და აყვავება. ლენინური დეკრეტების თანახმად, კურორტები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა და მშრომელი ხალხის სამსახურში ჩადგა. სწორედ ამ დეკრეტებმა განსაზღვრეს საკურორტო საქმის შემდგომი განვითარების გზები და სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის პროგრესული პრინციპები. კურორტები მშრომელებს! — აი რა დაედო საფუძვლად ჩვენს ქვეყანაში საკურორტო-სანატორიული მომსახურების ორგანიზაციას. უკვე 1921 წლის ზაფხულში სასწრაფოდ შეიქმნა 10 სანატორიუმი, რომლებმაც 600-მდე ავადმყოფი მიიღეს.

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. თუ 1926 წელს საკურორტო მშენებლობის საქმეზე კაპიტალდაბანდება 425 ათას მანეთს შეადგენდა, უკვე 1929 წელს ეს თანხა 745 ათასამდე გაიზარდა, 1931 წელს კი მილიონ მანეთს მიაღწია და საწოლების რიცხვი უკვე 2.225-ს უდრიდა. შარშანდელი მონაცემებით, პროფკავშირთა საკურორტო მშენებლობის კაპიტალდაბანდება 6.948 ათასი მანეთით განისაზღვრებოდა, წლეულს საწოლების რაოდენობა 21 ათასს მიაღწევს.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში დაიწყო ადამიანის ორგანიზმზე საკურორტო ფაქტორების გავლენის მეცნიერული გამოკვლევა. შეიქმნა საკურორტო პო-



ციხისძირი

ლიკლინიკები, სანატორიუმები მიიჩნიეს ძირითად სამკურნალო-პროფილაქტიკურ საკურორტო დაწესებულებად.

განსაკუთრებული სწრაფი ტემპით დაიწყო საქართველოში სანატორიუმების, საკურორტო დაწესებულებებისა და დასასვენებელი სახლების მშენებლობა იმის შემდეგ, რაც 1931 წლის ოქტომბერში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება მოკავშირე რესპუბლიკებში საკურორტო საქმისა და საკურორტო მშენებლობის შემდგომი განვითარების შესახებ.

პირველი ხუთწლედის წლებში ბორჯომში, გაგრაში, წყალტუბოში და სხვაგან აშენდა და ექსპლუატაციოდ გადაიცა სანატორიუმები, პანსიონატები, დასასვენებელი სახლები, სამკურნალო ტალახისა და წყაროების საბაზანოები, საკურორტო პოლიკლინიკები და საკურორტო დანიშნულების სხვა ობიექტები. 1940 წლისათვის საქართველოს კურორტებს უკვე 13.579 საწოლი ჰქონდათ, სადაც შეიძლებოდა წლიურად 154 ათასამდე კაცს ემკურნალა.

მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩვენმა კურორტებმა სამამულო ომის პერიოდში, როცა აქ ჯანმრთელობას აღიდგენდნენ საბჭოთა ჯარის ათასობით მეომრები.

ომის შემდგომ წლებში საკურორტო-სანატორიული საქმე ვითარდებოდა საბჭოთა სამედიცინო მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების საფუძველზე, წლიდან წლამდე უმჯობესდებოდა მკურნალობის ხარისხი, უფრო ეფექტურად გამოიყენებოდა საკურორტო რესურსები და მატერიალური საშუალებანი. განხორციელდა სერიოზული ღონისძიებანი ბალნეოტექნიკური და ჰიდრომინერალური მეურნეობის, სამთო-სანიტარიული დაცვის მოსაწესრიგებლად.

განსაკუთრებით აღორძინდა საკურორტო მშენებლობა, რაშიც დაბანდებულია ასობით მილიონი მანეთი. ჩვენმა კურორტებმა სახე იცვალეს. აშენდა ახალი კომფორტული სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, სხვადასხვა კეთილმოწყობილი საკურორტო დაწესებულე-



ბიჭვინთის ფიჭვნარი



გაკუთრიპანი. „მზიური ველი"

მთა დაბარი...

ბანი. ახალი სანატორიუმებისა და სხვა საკურორტო დაწესებულებების მშენებლობასთან ერთად, დიდი თანხა გამოიყო უკვე არსებულის შესაკეთებლად და კეთილმოსაწყობად.

საბჭოთა მთავრობის 1960 წლის 10 მარტის დადგენილებით საკურორტო საქმე და მშრომელთა საკურორტო მომსახურება მთლიანად გადაეცა სსრ კავშირის პროფესიულ კავშირებს, რითაც კურორტების განვითარების ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო — გააქტიურდა საკურორტო მშენებლობა, უფრო რაციონალური და ეფექტური გახდა ჯანმრთელობის კერების გამოყენება, გაუმჯობესდა ავადმყოფთა და დამსვენებელთა სამედიცინო, კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურება, გამარტივდა კურორტების მართვის სისტემა.

მარტო მერვე ხუთწლედის განმავლობაში კაპიტალურ მშენებლობაზე მოქმედი სანატორიუმებისა და საკურორტო დაწესებულებათა რეკონსტრუქცია-გაფართოებაზე დაიხარჯა 49 მილიონ 500 ათასი მანეთი, ხოლო კაპიტალურ-



რიწის ტბა

ად დგენით და შესაკეთებელ სამუშაოებზე — 7 მილიონ მანეთზე მეტი. სანატორიუმები, პანსიონატები, დასასვენებელი სახლები და სხვა საკურორტო ობიექტები აღჭურვილია 18 მილიონად ღირებული საუკეთესო სამედიცინო და სხვა მოწყობილობით.

ჩვენმა კურორტებმა ისე იცვალეს სახე, რომ აქ დიდი ხნის წინათ ნამყოფ კაცს ნამდვილად გაუჭირდება მათი ცნობა. თუნდაც წყალტუბო, რომელიც ბორჯომთან, ჭიათურასთან, გაგრასთან, ბიჭვინთასთან და ახალ ათონთან ერთად დღეს საკავშირო მნიშვნელობის კურორტად არის აღიარებული. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ აშენდა ჯანმრთელობის ახალი კერები, ჩატარდა დიდი ჰიდროგეოლოგიური და ჰიდროტექნიკური სამუშაოები, მკურნალობა მიმდინარეობს თანამედროვე მედიცინის უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე. წყალტუბოს ამშვენებენ ჯანმრთელობის დაცვისა და დასვენების ისეთი შესანიშნავი სასახლეები, როგორიც არის სანატორიუმები „მეგობრობა“, „მეშახტე“, „თბილისი“, „მეტალურგი“, „გელათი“, „ივერია“ და მრავალი სხვა.

სუბტროპიკულ მცენარეთა ტყევრში ჩაფლული სანატორიუმებით, ულამაზესი დასასვენებელი სახლებით სახელი აქვს განთქმული გაგრას, რომლის განუმეორებელი ბუნებრივი სილამაზე, საოცარი რელიეფი ბევრ დამსვენებელს იზიდავს. გაგრამ სახელი გაითქვა როგორც კლიმატურ-ბალნეოლოგიურმა კურორტმა, და თუ გავიხსენებთ გაგრა-ალპურსაც, მაშინ თვალწინ დაგვიდგება გაგრის სრულყოფილი სურათი — გაგრა კლიმატური, ბალნეოლოგიური და ალპური კურორტი. აქ არის მდინარე ეოეკვარათი ორად გაყოფილი უზარმაზარი, დიდებული პარკი, ულამაზესი მაგნოლიებით, ევკალიპტებით, კეთილშობილი დაფნით, პალმებით, პარკში არის ხელოვნური ტბა და ზოოლოგიური კუთხე. გაგრას აქვს შესანიშნავი სასპორტო მოედნები, კურორტ-ქალაქს ამშვენებს გემოვნებით შესრულებული მცირე არქიტექტურული ფორმები.

გაგრა ცნობილია ისეთი შესანიშნავი ჯანმრთელობის კერებით, როგორიც არის სანატორიუმები „თბილისი“, „რიწა“, „შუქურა“, „ჩელიუსკინელები“, „საქართველო“, „უკრაინა“, „სომხეთი“ და მრავალი სხვა. სისტემატურად ფართოვდება სამკურნალო ბაზა, არის საკურორტო პოლიკლინიკა, საკურორტო სასტუმრო, წყლით სამკურნალო, სამედიცინო პლაჟი, კურორტს აქვს საუკეთესო ტურისტული ბაზა. მეორე წელიწადია გაიხსნა 300-ადგილიანი ახალი კომფორტული სანატორიუმი „კავკასიონი“. მისი სტუმრების განკარგულებაშია მრავალფეროვანი სამკურნალო საშუალებანი, შექმნილია კულტურული დასვენებისა და გართობის ყველა პირობა.

ჩვენს კურორტებზე დიდი ყურადღება ექცევა სამკურნალო ფიზკულტურულ მუშაობას — არის სპეციალური კაბინეტები, საცურავი აუზები, სამკურნალო მასაჟის კაბინეტები, სასპორტო მოედნები. ავადმყოფთა და დამსვენებელთათვის ეწყობა ახლო და შორეული ტურისტული სვლაგეზები, იმართება სპორტული თამაშობები, ექსკურსიები.

ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც კარგად არის ცნობილი ბიჭვინთის 3.000-ადგილიანი კომპლექსი. აქ აღმართულან 7 კომფორტული 15-სართულიანი პანსიონატის კორპუსები საცურავი აუზით, საზაფხულო კინოთეატრით, კაფე-ბარებით, სავაჭრო ცენტრით, ნავმისადგომით, რითაც მშრომელთა საუკეთესო დასვენების პირობები არის შექმნილი.

ბიჭვინთის მთელ ტერიტორიას ზღვის სანაპიროზე გასდევს საუცხოო წიწვიანი პარკი, რომელშიც ჭარბობს ე. წ. ბიჭვინთის ფიჭვი. ეს არის გრძელწიწვიანი ფიჭვის უიშვიათესი ჯიში. ტყე-პარკი ზღვის სანაპიროს 4 კილომეტრზე მეტ მანძილზე გასდევს და ჰაერს ავსებს ფიჭვის საამო სურნელით, რაც კურორტის მიკროჰავას კიდევ უფრო სასარგებლოსა და საამოს ხდის.

ახალი ათონის სტუმარს სამარადუამოდ გაჰყვება მისი სილამაზე. აქ არის სუბტროპიკული ზონის თითქმის ყველა მცენარე, ზღვისაკენ დაქანებული მთის ფერდობები დაფარულია მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის პლანტაციებით, ხუჭუჭა ზეითუნის ხეთა ტევრებით...

განსაკუთრებით ცხელ დღეებშიც კი, როცა თერმომეტრი 36-38 გრადუსს გვიჩვენებს, ახალ ათონში ჰავა საამოა და სასიამოვნო. საერთოდ კი, აქ როგორც ცხელი, ისე ცივი დღეების რაოდენობა ძალზე უმნიშვნელოა, რაც ახალ ათონს მთელი წლის განმავლობაში სასურველ კურორტად ხდის.

დამსახურებული აღიარებით სარგებლობს შესანიშნავი ზღვისპირა კურორტი ქობულეთი, რომლის საუცხოო პლაჟი კარგად ეხამება უძვირფასეს ფიჭვთა ტევრს. ქობულეთის განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით აქაურობა კიდევ უფრო დამშვენდება. უკვე შენდება 928-საწოლიანი დასასვენებელი სახლი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის XXIV ყრილობის დირექტივების თანახმად, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1971-75 წლებში მიზნად ისახავს საკურორტო-სანატორიული მომსახურებისა და მშრომელთა დასვენების უკეთ მოწყობას. დადგენილია დაბორციელდება საქართველოს პროფკავშირების ჯანმრთელობის დაცვის კერების გაფართოება. შენდება საკურორტო-სანატორიული კომპლექსები, პანსიონატები და დასასვენებელი სახლები ბორჯომში, გაგრაში, ქობულეთში, შოვში და სხვაგან. მათი მშენებლობა ამ ხუთწლედში დამთავრდება და მაშინ საქართველოს პროფკავშირების საკურორტო-სანატორიული დაწესებულებების რიცხვი სამ ათასზე მეტი ადგილით გაიზრდება.

პროექტდება სანატორიუმების კომპლექსები ლესელიძეში, ჯავაში, ახტალაში, ცაიშში, ნაბეღლავში, ბახმაროში, კვერეთში, სურამში და სხვაგან. საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებთათვის თბილისის ზღვასთან აშენდება 400-ადგილიანი დასასვენებელი სახლი. გენერალური გეგმის მიხედვით საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე აშენდება რამდენიმე ქალაქ-კურორტი, სადაც მასპინძლობას გაუწევენ მრავალ ათას კაცს.

დიდი ყურადღება ეთმობა სამკურნალო-დიაგნოსტიკური მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფას, ბუნებრივი ფაქტორების უფრო ფართო გამოყენებას, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვასა და ათვისებას, სანატორიუმებისა და პანსიონატების შემდგომ სპეციალიზებას, ჯანმრთელობის კერების უახლესი სამედიცინო აპარატურით აღჭურვას.


დღეს ჩვენს კურორტებსა და სანატორიუმებში მუშაობს 500-ზე მეტი ექიმი.

ჩვენი კურორტები ხალხის საკუთრებაა. აქ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მშრომელმა ადამიანმა მკურნალობისა და დასვენების პერიოდში თავი ისე იგრძნოს, როგორც საკუთარ სახლში.


ოთარ ცანავა,
საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი.




სანატორიუმი „აფხაზეთი“




სოხუმის ერთ-ერთი მოედანი



გივჭინთა



გაგრა. დახურული საცურავი აუზი



ჩანჩქერი ახალ ათონში



ახალი ბორჯომი

წარმოშობით... თბილისელი ვარ!



ვმლევიზორი ჩავრთე. ეკრანზე გამოჩნდა საქვეყნოდ ცნობილი კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი — დაბადების 70 წლისთავს უხდიდნენ „სპარტაკის“, „გაიანეს“, „ბედნიერების“, მრავალი სიმფონიისა და სიმღერის ავტორს. იყო სიტყვისა და მუსიკის შენაცვლება, რომელთაგან ყველაზე საამოდ, ყველა სიტყვასა და მუსიკაზე თბილად მომწვდა თქმა იმისა, რომ ეკრანზე გამოსახული სასიამოვნო კაცი თავისი ბავშვობისა და სიყმაწვილის წლებს თბილისს უკავშირებდა, ჩემსას, — ჩემს თბილისს, — თავის მშობლიურადაც თვლიდა.

არ ვიცი, ვინ როგორ განიცდის სხვა ერის შვილთა მიერ მისეული ქალაქის მშობლიურად აღიარებას, მისდამი შვილური სითბოს გამოჩენას, მე კი გამოგიტყდებით, რომ ის კაცი ჩემთვის მყისვე ახლობელ ადამიანად, შინაურად, ჩემად იქმნება. და ეს გრძნობა ჩემიანობისა მით უფრო მეამება, მეამაყება ხოლმე, როცა ის ადამიანი სხვასაც უყვარს, უველასათვის სასახელოა და საქვეყნოდ პატივდებული...

ამად იყო, რომ მეორე დღეს ტელეფონით დავრეკე მის მოსკოვურ ბინაში. ვაჟიშვილმა კარენმა მამცნო, რომ შეუძლოდ არის და საავადმყოფოშიაო, თან იქაური ტელეფონიც მითხრა. დიდად ეამა ჩემი დარეკვაც, სიტყვაც და „სოციალისტური შრომის გმირის“ წოდების მილოცვაც, საავადმყოფოდანაც მალე გამოვალო.

— რამდენიმე კითხვა მინდა მოგცეთ გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველთათვის, პასუხი ხომ არ გაგიჭირდებათ?

გაზეთის სახელი და დანიშნულება ეამა, ოღონდ პირველ კითხვაზე ოდნავ დაყოვნდა, მერე კი პასუხის გაცემას მოჰყვა.

— საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიისა და სახელმწიფო პრემიის ექვსგზის ლაურეატი, საქართველოს, სომხეთის, უზბეკეთის სახალხო არტისტი, ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ლენინის სამი ორდენის, „შრომის წითელი დროშის“ ორი ორდენისა და მრავალი მედლის კავალერი. მედალი „კავკასიის დაცვისათვის“ განსაკუთრებით მეამაყება, — საგანგებოდ ჩაურთო სიტყვა კომპოზიტორმა. — კიევის კონსერვატორიის საპატიო პროფესორი, ცნობილი რომის მუსიკალური აკადემიის სანტა-ჩიჩილიას წევრი, მექსიკის კონსერვატორიის საპატიო პროფესორი... — დაიღალა, მეხსიერებამ კი არ უღალატა, ექიმებს ელოდა და როგორღაც ერიდებოდა ამდენი პატივის ჩამოთვლა.

— სად დაიბადეთ, რომელ ქალაქში?

— თბილისში, არავის შესახვევი 3. ამ სახლის მცხოვრებლებმა ისეთი თბილი და კეთილი მოლოცვის დეპეშა გამომიგზავნეს, რომ სხვა უამრავ მოლოცვათაგან ის ყველაზე ღრმად ჩამწვდა სულში — მართლაც თბილისურია. ექვს წლამდე იქ ვცხოვრობდით, მერე დღევანდელ კამოს ქუჩაზე 93-ში გადავედით... წინათ ამ ქუჩას ველიკოკნიაჟესკაია ერქვა.

— მშობლები ვინ იყვნენ?

— მამა წიგნის ამკინძველი იყო, დედა — დიასახლისი. მამაჩემს უნდოდა, რომ განათლებული ვაჭარი გამოვსულიყავი, ამიტომაც მიმაბარა თბილისის პირველ კომერციულ სასწავლებელში, რიყეში რომ იყო.

— ქართული თუ იცით?

— უველაფერი მესმის, მაგრამ ლაპარაკი უკვე მიჭირს, სამწუხაროდ. — ეს სიტყვები წმინდა ქართულით წარმოთქვა.

— რამდენი წელიწადი იცხოვრეთ თბილისში?

— 18 წელიწადი, ჩემი ცხოვრების უკეთესი მოგონებების ხანა თბილისს ეკუთვნის.

— ნათესავები, ბავშვობისდროინდელი მეგობრები თუ დაგრჩათ თბილისში?

— ნათესავთაგან მანდ აღარავინ დამრჩა. ბავშვობისდროინდელი ახლო მეგობარი იყო გრიშა მახარაძე, გარდაიცვალა. რუსთავში ცხოვრობს, თუ არ ვცდები, ალექსანდრე ტატიშვილი.

— მეხსიერებაში რა შემოგრჩათ თბილისის მოსაგონებლად?

არამ ხაჩატურიანი დაყოვნდა, მერე ხელისით მომიგო.

— ბევრი რამ, მაგრამ... უველაზე მეტად... 

არ გაგიკვირდეთ და... ახლად გაღვიძებული თბილისის ის ბრწყინვალე და განუმეორებელი მუსიკა, რასაც ქვეყნად ვერსად მოისმენთ... — და ქართულად დაიყოლა, — მაწონი, მაწონი, მაწონი; აბა, ბალი, ბალი; პანტა, პანტა, პანტა... დილისეული თბილისის ეს ხალისიანი ხმოვანება ყოველთვის მახსოვდა, მახსოვს და მემახსოვრება, როგორც ჩემი ბავშვობისდროინდელი უტკბილესი სიმფონია.

განსაკუთრებულ შთაბეჭდილებად დამრჩა უკვდავი ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, რაც 14 წლის ბიჭმა ჩემს სათაყვანებელ თბილისის ოპერის თეატრში მოვისმინე.

მესამე ძლიერი შთაბეჭდილება ორი მოძმე ხალხის დიდ შვილებთან არის დაკავშირებული. მოსკოვში, არბატზე მოკრძალებით მივდივდი ალექსანდრე სპენდიარიანს... მას ზაქარია ფალიაშვილი შემოხვდა... ბევრი გულთბილი შეხვედრის მოწმე ვყოფილვარ ჩემი 70-წლიანი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ იმგვარი რამ არაფერი მინახავს.

მეოთხე?... — მე მეოთხე მისთვის არ მიკითხავს. — ვიცი ეგ აღარ გიკითხავთ, მაგრამ უთქმელობა არ შემიძლია.

რამდენიმე წლის წინათ ვაშინგტონში ვარ. კონცერტის შემდეგ გარეთ გამოვედი. ბევრნი დამხვდნენ. მათ შორის იყვნენ ემიგრანტებიც — რუსები, სომხები... ერთი ქართველიც. მეკითხებოდნენ, ვპასუხობდი. ბოლოს იმ ქართველმა დამიმარტოხელა და რუსულად მკითხა — „თბილისში თუ ყოფილხართ?“ „იქ დავიბადე“, „მაშ... ქართული“... „გაუმარჯოს ჩემს თბილისსა და საქართველოს“ — ვუთხარი ქართულად.

თვალზე ცრემლი მოადგა, იმას... მეც... ღარიბად ეცვა... საქართველო უყვარდა იმას... მეც ძალიან მიყვარს.

— ქართველთაგან ვისთან მეგობრობთ, ვინ გიყვართ, ვისა სცემთ განსაკუთრებულ პატივს?

— მე უველა ქართველი, უველა თბილისელი მიყვარს, პატივს ვცემ უველა სასიქადულო ქართველსა და თბილისელს. განსაკუთრებით არავის გამოვყოფ საგანგებოდ, რადგან უველა ჩემი თბილისელი მეგობრის ჩამოთვლა შეუძლებელია, გამორჩენით კი გულს ვერავის ვუწყენ. ჩემს მოწაფედ ვთვლი და შვილივით მიყვარს ნოდარ გაბუნია, თუ ცოდვად არ ჩამომართმევთ.

ჩემზე ამბობენ — არამ ხაჩატურიანს ამერიკაკაშიის სამი რესპუბლიკის, სამი ხალხის მადლი ერთად სცხებიაო. ეს მე განსაკუთრებით მეამაყება, ამიტომაც სამივე ხალხი გულით მიყვარს და მეყვარება.

ქართველებს კი, საქართველოს სასიყვარულო სიტყვა და თბილი, თბილისური სალამი გადაეცით მოსკოველი თბილელისაგან, მარად ჰქონდეთ დიდი ოპტიმიზმი, საქებარი ერთმოყვარება, დიადი რწმენა და მგზნებარე შემართება.

ერთი თხოვნა მაქვს — თუ ჩემს სახელსა და გვარს მოაწერთ მაგ წერილს, წინ წაუმძღვარეთ ერთადერთი ტიტული — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

სიამოვნებით ვასრულებთ მის თხოვნას.

საუბარი წარმართა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა **არამ ხაჩატურიანმა**, ესაუბრა **გიორგი მუხიგულაშვილი.**

სურათებზე: სახლი, სადაც დაიბადა არამ ხაჩატურიანი. კომპოზიტორები ოთარ თაქთაქიშვილი და არამ ხაჩატურიანი.

სადაც ფეხი ავიდგი!

რაც უფრო მეტად ძალობს ხანი და ასაკი, რაც უფრო შორდები ბავშვობას, სიჭაბუკესა და სიყმაწვილეს, იმ ნეტარი წლების მოგონებებს, შენში სამარადჟამოდ რომ ჩასისხლხორცებულან, მით უფრო ძალუმად, ხატოვნად და ხშირადაც ფორიაქობენ ისინი, ის მოგონებები, სულსა და გულში, მით უფრო ახლობელი და სათუთი ხდება ყოველი მომდევნო გახსენებისას ის სახლი, კარ-მიდამო, ბაღ-ვენახი, უბანი, სოფელი და მხარე, სადაც ფეხი აიდგი, სადაც გულით იხარე, სად მამა-პაპა გეგულვის, მათი კერა, მათი ფეხნადგამი ადგილები, ხელნადები ნივთები, სკივრ-კიდობანი, თუ სხვა რამ ძველი.

მიდის ჟამი, მიედინების, მიაქვს წლები, უნარი, თვით სიცოცხლეც, იცვლებიან შენს გვერდით ადამიანები, ხასიათები, ადგილები, სახლები თუ ნასახლარები, ხშირად რომ იბინდებიან ჟამთასვლით, ან სულაც გავიწყდებიან, მაგრამ ბავშვობის, სიჭაბუკისა და სიყრმის მოგონებებს ვერაფერს აკლებს ვერც წელთაცვლა, ვერც ფერთაცვლა, ვერც კაცთაცვლა, იმათ ბინდი არ ეკარება, ალბათ, თვით ღრმა სიბერემდეც, თუკი ის სიბერე გიწერია ბედად. და ეს დაუბინდავი და დაუფიწყარი მოგონებები არის ის სიკეთე და ბედნიერება, რასაც ქართველი კაცი თუ დედაკაცი მშობლიურად იტყოდა და ამბობს, ურომლისოდაც ჩიად არ ღირს სიცოცხლე, გარჯა თუ სიქველე ამქვეყნიური, იგი არს წმინდათა წმინდა თავანკარა სათავე იმ ხელუყოფელი ნაკადულისა, რითაც იწყება დიდი სამშობლოს შეგნება, ერთგულება და სიყვარული მისი.

ჩემი დიდი, თვალუწვდენელი სამშობლოს სათავე კასპის მიდამოებში, ლეხურის ხეობაში მოქცეული ქვემო-ჭალაა, შიდა ქართლის ერთი მადლიანი სოფელი. იგოეთთან გადაუხვევ სამთავისისკენ, — ერის საამაყოდ დღესაც ზვიადად შემართული ტაძრით რომ არის დამშვენებული შორეული წარსულიდან, ახლო წარსულიდან — სამთავისის კომუნით, საქართველოში ახალი ყოფის იმ კეთილი ნაპერწკლის გაელვებით, დღეს კი კაცის გარჯით არის მადლცხებული, — გასცდები იმას და ორიოდე კილომეტრის შემდეგ მიადგები ჩემს ქვემო-ჭალას. მიადგები და შეჩერდები მისი მისადგომების ბრწყინვალებით კეთილად მონუსხული — მარცხნივ ამილახვრიანთ სასახლე ანუ ნასასახლარი მოგეგებება თავისი გალავნებით, ნატიფად ნაგები ციხე-კოშკებით დაძაგრული, როგორც შორეული წარსულის ჟამგადაყრილი და ვალმოხდილი მოწმე, სამშობლოს გარდასული ხანის სიღრმეში მოღვაწე ერისკაცთა სიკეთისა თუ ძვირის მემატიანე, მართალი მესიტყვე ქართველთა შორეთისა, ხელუყოფელი ქმნილება ჩვენი მაშვრალთა მარჯვენის ალალი გარჯისა, სამშობლოს ერთგულებისა და მისთვის ბრძოლების აღმწერ-აღმნუსხველი.

ხელმარჯვნივ — ზემოთ, კავკასიონის ერთ ფესვზე, სოფელს რომ დარაჯობს სიმაღლეებითა და ტყეებით, ზვიადად წამომდგარა საქართველოს ავბედობის მოწმე, ისტორიაში ფეხმოუკიდებელი გამრჯე გლეხკაცის ოფლითა და სისხლით ნაგები სხვილოს ციხე-ქალაქი, მართლაც რომ სხვილო, იმ არე-მარის მკვიდრთ რომ იხიზნებდა შემოსეულ მტერთაგან დასაფარავად, ქართლის ერთი კიდიდან მეორე კიდემდე ცეცხლოვანი ტელეგრაფის მტკიცე რგოლი რომ იყო მომძეთა გასაფრთხილებლად თუ მათგანვე დახმარების სათხოვნელად, ქართველთა მოდგმის გადარჩენაში წილსადებად, მცირეს და დიდის შესაფარებლად გამრჯე მარჯვენითა და ნათელი გონებით იმ ციცაბოზე აღდგმულ-ნაგები.

მარჯვნივ — ქვემოთ, სოფლის თავში, ნასასახლარის გადასწვრივ, დინჯად გაშლილა ვეებერთელა ახალი ნაგებობა თავისი კოხტად მოპირკეთებული კედლებით, შემინული დარბაზებით, ნათელი და ქარქაშა კლასებით, ახლად დადგმული მერხებით, საგულდაგულოდ გაწყობილი ლაბორატორიებით — ამ ძველი და განახლებული სოფლის განათლების კერა, საშუალო სკოლის შენობა, აქაურ 1.000 ბავშვს შარშან რომ აუგო მთავრობამ თავისი ხარჯით, თავისი გარჯით, თავისი ხე-ტყით, რკინითა და მინით, აუგო, რათა მის ნათელ ოთახებში განსწავლულ მასწავლებელთა ხელში კვლავაც აღიზარდნენ სასიქადულო მამულიშვილნი, შრომის, ძმობის, ბრძოლისა და სამშობლოს ერთგულების ამაგდარი ადამიანები.

...ბავშვობა აქ გავატარე. აქ ვაკეთებდი დიდგულას, აქ ვთევზაობდი ლეხურაში, აქ ვაგროვებდი თავთავს ტოლ-სწორებთან ერთად, აქ ვტრიალებდი კალოობაზე, აქ ვისწავლე გამრჯე მარჯვენით ნაკეთები კევრის, კოფოს, კონკილას, აპეურის, ტაბიკის, უღლის, გუთნის, ხელეურის, ბულულის, ნამგლის, ცელის, კონისა და ძნის ფასი, აქ გავიგე თავმძიმედ და თავმსუბუქად დადებული ურმის ავ-კარგი, ვიტკბე ბავშვური სისრულით გლეხური, სამშობლოსეული შრომის მადლი — თიბავთვეში თიბვისა, მკათათვეში მკისა, ღვინობისთვეში ყურძნისა, აქ მიტარებია ზურგით საფქვავი ძია ვანოს, ყრუ-ნიკას, სანდროს წისქვილებში, აქ მიბანავია საკორინთოს „ბოჭკებში“, აქ მიგელავია საკოლმეურნეო კალოზე ქოთიასეული ცხენებშებმული კევრით, ბულიას ბაღში აქ მომიპარავს იმის ბიჭთან — ალესთან ერთად საბაზროდ დამწიფებული ერთი უბე თუთა თუ ბალი, აქ, პირველად აქ ვეზიარე ხალხის ერთობლივი შრომის მადლს, კაცურ-კაცობის დიდ სიცოცხლეს, მაშვრალის სამხრის გემოს, ყველასათვის ერთად მოხარშულ გემრიელ კერძს, გლეხური ჯამისა და ხის კოვზის ბარაქიან ლუკმას, მახობლიან პურსა და საახალწლო ნაზუქს, აქ სამარადჟამოდ ვიწამე ძმობა, ერთობა და სამშობლოს სიყვარული, ჩემი ბარაქიანი მიწისა...

...ამ ორმოციოდე წლის წინათ იყო სოფელი ღარიბი, პატიოსანი, მაშვრალი... ჩემი ბავშვობის მეგობრების ალესა და ტიკინას დედ-მამამ ქალაქში გადასახლებული ერთი კაცისაგან ბნელი გომური იყიდა საცხოვრებლად ერთი დედაღორის ფასად. მათთვის პურის გამოცხობა ზეიმი იყო, კიდობანში დაობებული პური — სიხარული, ქალაქში ალუბლისა თუ ჭერმის წაღება და იმ ფულით ჩუსტის ან პერანგის ყიდვა — დღესასწაული, წიგნი და რვეული — აღტაცება...

...მოვიდა ტრაქტორი, სამკალ-სათიბი, მერე საღეწიც... სული მოითქვა სოფელმა და... დაიწყო დიდი სამამულო — ბოროტება ეკვეთა სიკეთეს, დამონების წადილი — თავისუფლებას, ბატონ-ყმობა — თანასწორობას, ბნელეთი — სინათლეს, კაცისკვლა — ძმობას, ერთობას, შრომისა და აღმავლობის ფუძეთა-ფუძეს. აღდგა ქვეყანა, აღდგნენ ხალხები, აღდგნენ ქართველებიც სამშობლოს დასაცავად... აღდგა ქვემო-ჭალაც, რომლის საბჭომ სამშობლოს დასაცავად გაუშვა ხუთასამდე პაპია და რეზო, ალე და კოწო, სანდრა და დათიკო, გოგია და ლევანა... დედაკაცებმა იკისრეს კერის მოვლა-პატრონობა, ბალღების დაზრდა, ვაზის შეყელვა, შეფუთვნა, მოწამვლა, გოგირდის შეყრა, სიმინდ-ლობიოს მოყვანა, მიწის მოხვნა, პურის დათესვა და მომკა. სოფლის თავკაცმა ალექსანდრემ 30.000 მანეთი შეიტანა ჰიტლერელთა გასაეუჭად ტანკის აგების ანგარიშში, რაიც იმას ნიშნავდა, რომ ის — ჭალელი ალექსანდრე — თავისი ალალი შრომით მოყვანილი პურის ლუკმას თვითონ იტოვებდა, ვეება ყუას კი უწილადებდა ურალელ მუშას, რომელიც იქ, შორის-შორეთში ფაშიზმის ტიალად საქცევ მანქანას აგებდა დღისითა და ღამით. მთავარსარდალმა საბჭოთა ხალხის სახელით მადლობა უთხრა ჭალელ თავკაცს და ეს მადლობა იყო ხალხის ერთიანობის, საბჭოთა ერების ძმობის ნიშანი და გამოვლინებაც — ალექსანდრე იყო ხალხის ნაწილი, ქვემო-ჭალა — დიადი სამშობლოს პატარა და ერთგული კუთხე.

და მე ვიცოდი, მტკიცედ ვიწამე სამარადჟამოდ, რომ სტალინგრადთან ბრძოლით, მოსკოვის მისადგომებთან ჭალელის დაღვრილი სისხლით, ურალელი მუშისათვის ალექსანდრესეული ყუის წილადობით იჭედებოდა გამარჯვება, დამონებისაგან საქართველოს გადარჩენა, ქართველი ხალხის თავისუფლება, რომ ორიოლისა და კურსკის რკალზე წყდებოდა ჩემი ჭალის, ჩემი ხალხის, ჩემი საქართველოს ბედი. ეს იცოდნენ იმათაც, იმ ხუთასმაც, რომელთაგან ნახევარზე მეტი შინმოუსვლელად დაიოთქვა, რომელთაგანაც ორმოცდათორმეტი ხეიბრად დაუბრუნდა თავის სოფელს, იმათაც, ვინც ძაძები ჩაიცვა შვილებზე, ქმრებზე, ძმებზე და შვილიშვილებზე!

...გავიდა ხანი. 1941 წლის 22 ივნისიდან ზუსტად 32 წელიწადი გავიდა. ბევრი იდუდუნა ლეხურამ, ბევრი ნაფოტი ჩაუტანა მტკვარს. აღდგა, გაიმართა, მომძლავრდა, უძლეველობამდე აღწევდა საბჭოეთი, დიადი სამშობლო და მისი მცირე ნაწილი ქვემო-ჭალაც, რიგით მაშვრალებად დავაჟკაცებულმა ალექსანდრემ და თენგიზმა დიდი ხანია გომური მიატოვეს და ცოლ-შვილითურთ, თავიანთი ოთხმოცდაათს მიტანებული დედით — ანიკოთი — ვეება ორსართულიან სახლში გადასახლდნენ. დიდებული ავეჯით, მაცივრებით, ტელევიზორებით, რადიომიმღებებით და ცხოვრების გამლამაზებელი ათასი სამხელით გაივსეს ოჯახები. სადღაა ჭრაქი, „ლამპა“, შემოგარენის ხე-ტყის გაჩეხვა — ელექტრონის შუქზე კითხულობენ წიგნსა თუ გაზეთს, სოფელში შემოსული ბუნებრივი გაზის ქურებზე აკეთებენ კერძებს, „აგევ“-თი ათბობენ რადიატორებით გაწყობილ ბინებს, ტელეფონით ელაპარაკებიან გადმელ მეზობლებს...

მძლავრობს, ღაღობს სოფელი ქვემო-ჭალა — დიადი სამშობლოს მცირე ნაწილი: 1.000 ჰექტარი ვენახი, 225 ჰექტარი ბედაური ხეხილის ბაღი, 1.260 ჰექტარი სახნავ-სათესი, ხუთასამდე მეწველი ძროხა, სამი ათასი ცხვარი, ქათმის, ინდაურის ფერმები, ფუტკარი... ერთი მილიონი მანეთი წლიური შემოსავალი...

მძიმე, მაგრამ ალალი წარსული, საბჭოეთის მადლით ხელდებული საამაყო აწმყო და კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავალი — აი რას დუდუნებს სათავითვე ქართული მტკვრის შენაკადი ლეხურა, აი რას უმღერიან ჭალელები შრომაში, გარჯაში, ქორწილსა და ძეობაში, აი რა უდევს ფუძედ იმ დიდ სიყვარულს, რომელმაც საქართველოს ერთ მადლიან სოფელში აიდგა ფეხი და სათნოებად დაუარა დედამიწის ერთ მეექვსედს, რაიც თავანკარა სამშობლოს, დიდებული მამულეთის გაგრძელებად იწამა საშვილიშვილოდ ყველა ჭალელმა, ყველა ქართველმა, მათ შორის მეც, როგორც წმინდათა წმინდა სიცოცხლის, ბრძოლისა, შრომისა და არსებობის სათავე, რასაც მთელი ჩემი დიდი ქვეყანა, ამ ქვეყნის ყველა ერის შვილი დარაჯობს, როგორც ყოველ წმინდა სათავეს!

ჩემო ქვემო-ჭალავ, ჩემო საქართველოვ, ჩემო დიადო საბჭოთა სამშობლოვ — 1973 წლის 22 ივნისს ფეხზემდგომი, გალიცლიცებული ჯიხვის ყანწით ვსვამ შენს სადღეგრძელოსა და შინმოუსვლელთა მოსაგონარს!

გივი კარბელაშვილი

„ის შრჩევნია მაგულსა“...

ძმები შენგელაიები

ნატო ვაჩნაძე!.. იტყვით და წარმოგიდგებათ ლამაზი ქალი, თბილი, კეთილი თვალებით. თქვენ წინ გაცოცხლდებიან მის მიერ ეკრანზე განსახიერებული ნუნუ — „მამის მკვლელიდან“, ესმა — „სამი სიცოცხლედან“, ნენო — „არსენადან“, აკაკის ძიძა — „აკაკის აკვნიდან“...

ნატო ვაჩნაძე — საბჭოთა ეკრანის ვარსკვლავი. ვარსკვლავმა სიცოცხლე ცაში დაასრულა ოცი წლის წინათ — 1953 წლის 14 ივნისს...

„ჩემი ცხოვრების რეჟისორი“ უწოდა ნატომ თავის მეუღლეს — ნიკოლოზ შენგელაიას, საბჭოთა კინემატოგრაფიის თვალსაჩინო მოღვაწეს, ნიკოლოზ შენგელაიას, რომლის სახელიც დგას სერგეი ეიზენშტეინის, ვსევოლოდ პუდოვკინის, ალექსანდრე დოვჟენკოსა და სხვა იმ ოსტატთა გვერდით, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა სოციალისტურ კინოხელოვნებას. მისი ფილმი „ელისო“ საბჭოთა კინემატოგრაფიის ოქროს ფონდშია შესული.

ამ შესანიშნავმა წყვილმა, დაუღალავი შრომითა და კინოხელოვნებისადმი მგზნებარე სიყვარულით დიდი ამაგი დასდო საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებას. ნატომ და ნიკოლოზმა ქართული კინოხელოვნების წინსვლასა და აღმავლობას შეალიეს თავიანთი სიცოცხლე, რომელსაც სახელოვნად აგრძელებენ მათი შვილები — ელდარ და გიორგი შენგელაიები, ბავშვობიდანვე რომ იწამეს კინოხელოვნება.

„გადაღებების დროს ბავშვები ყოველთვის თან მყავდა. ისინი შეეჩვივნენ ადგილცვალებად, მსახიობურ ცხოვრებას“ — ვკითხულობთ ნატო ვაჩნაძის მოგონებებში.

შინ თუ გარეთ წმინდა ხელოვნების გარემოში უხდებოდათ ტრიალი, ძარღვებშიც ხელოვანთა სისხლი უჩქეფდათ და, რა გასაკვირია, რომ ძმებიც მშობლების კვალს გაჰყვნენ და ცხოვრების თანამგზავრებადაც საბჭოთა ეკრანის შესანიშნავი მსახიობები აირჩიეს: ელდარმა — არიადნა შენგელაია, გიორგიმ — სოფიკო ჭიაურელი.

ელდარმა პირდაპირ რეჟისორობით დაიწყო. საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე კინოსტუდია „მოსფილმში“ გადაიღო ორი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „ლეგენდა გაყინულ გულზე“ და „ზამთრის ზღაპარი“. მალე საქართველოში ბრუნდება და „ქართულ ფილმში“ რეჟისორ თამაზ მელიავასთან ერთად მერაბ ელიოზიშვილის სცენარის მიხედვით იღებს ფილმს — „თეთრი ქარავანი“. ეს, თუ შეიძლება ითქვას, ქართულ კინემატოგრაფიაში მისი პირველი მაღლიანი სიტყვა იყო, რისთვისაც ავტორებს საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემია მიენიჭათ.

„თეთრ ქარავანს“ მოჰყვა ფილმი — „არაჩვეულებრივი გამოფენა“, რომელიც რევაზ გაბრიაძის სცენარის მიხედვით გადაიღო. ერთ-ერთ სრულიად საკავშირო კინოფესტივალზე ფილმის რეჟისურა საუკეთესოდ ცნეს, ხოლო ვასილ ჩხეიძემ, ამ ფილმის მთავარმა მოქმედმა პირმა, მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის პრემია დაიმსახურა.

ამჟამად ელდარი ახალ ფილმზე მუშაობს. ეს მისი და რევაზ გაბრიაძის მეორე ერთობლივი სურათია.

— ფილმი ეხება, — ამბობს რეჟისორი — მშფოთვარე სულის, დიდი და ლამაზი ოცნების ადამიანებს. ვცდილობთ კომედიურმა სიტუაციებმა არ მიჩქმალონ ფილმის მთავარი იდეა — ადამიანი და ოცნება.

უმცროსმა ძმამ — გიორგიმ მსახიობობით დაიწყო. ჯერ კიდევ საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი რეჟისორმა რევაზ ჩხეიძემ გადაიღო ფილმში — „ჩვენი ეზო“. სასინჯმა გადაღებებმა ცხადყვეს გიორგის მსახიობური ნიჭი. გიორგისათვის მთავარი ის კი არ იყო, ეკრანზე შეექმნა ჩვეულებრივი ახალგაზრდის სახე და ხასიათი, არამედ თვითონაც ჩასწვდომოდა და მაყურებლისთვისაც ეჩვენებინა ის ახალი სული, რითაც სუნთქავდა გმირისა და თვით მსახიობის თაობა. მისი დათო მაყურებელმა მიიღო და შეიყვარა.

ჯერ ისევ სტუდენტს, მაგრამ უკვე „ცნობილ“ მსახიობს, რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი ორი ფილმის მთავარ როლებში იღებს — „ოთარაანთ ქვრივში“ და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. აქ გიორგიმ განასახიერა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სახე — დრამატული და კომიკური.

გიორგის მისწრაფება მაინც სხვა იყო — რეჟისორობა იზიდავდა, დამოუკიდებელი შემოქმედებითი მოღვაწეობა ეწადა. ჯერ კიდევ სტუდენტობაში გადაიღო ორნაწილიანი დოკუმენტური ფილმი — „ფიროსმანი“, რომელიც მხოლოდ სურათების ჩვენებით საკმაოდ საინტერესოდ არის აგებული. სადიპლომოდ კი გააკეთა ფსიქოლოგიური ხასიათის ფილმი — „ალავერდობა“, რომლის სცენარიც ახალგაზრდა მწერალ რევაზ ინანიშვილთან ერთად გურამ რჩეულიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით დაწერა. გიორგიმ თითქოს ზუსტი გასაღები მოარგო იდეისა და თემის გახსნას. ფილმში გამოვლინდა მისი რეჟისორული მხატვრული ალღო, შემოქმედებითი გაქანება და უნარი.

ფრანგი კინოკრიტიკოსი მარსელ მარტენი აღნიშნავს — „მე ქართული კინოს თაყვანისმცემელი ვარ. რამდენიმე წლის წინათ მე ვნახე გიორგი შენგელაიას ფილმი — „ალავერდობა“ და უკვე მაშინ გამოვთქვი ჩემი შეხედულება როგორც საფრანგეთის, ისე საბჭოთა პრესაში, რომ ამ ფილმის რეჟისორს დიდი მომავალი აქვს“.

მცირე შესვენების შემდეგ ეკრანზე გამოდის გიორგის მორიგი ახალი მხატვრული ფილმი „ფიროსმანი“. ფილმმა აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. ფიროსმანი სახალხო მხატვარი იყო და ხალხშივე გაქრა, ამიტომაც მისი ცხოვრების აღდგენა ძნელია. ამჟამად არსებულ ძუნწ ცნობებზე დაყრდნობით, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, გიორგიმ, როგორც თვითონ ამბობს — საკუთარი გაგებით შემოგვთავაზა ფიროსმანის სახე.

ივეტ ბირო, უნგრელი კინოკრიტიკოსი წერს: „ფილმის მთელ მეორე ნახევარს ცრემლებით ვუცქირე. მიხარია, რომ უნგრელი ხალხი ნახავს ამ შესანიშნავ ფილმს. სხვანაირი ინტერპრეტაცია ფიროსმანის ცხოვრებისა ვერც წარმომიდგენია“.

„ალავერდობასა“ და „ფიროსმანში“ გიორგი ხსნის თავის ძირითად იდეურ და მხატვრულ პრინციპებს. როგორც ელდარ შენგელაია ამბობს, „ჭეშმარიტ ხელოვანს არ შეუძლია შექმნას თავისი მთავარი სურათები თანმიყოლებით, შეუსვენებლივ“, ისევე გიორგიც ამ ორი ფილმის შუალედში აკეთებს ერთგვარ გადახრას მთავარი ხაზიდან და იღებს ტემპერამენტიან, სათავგადასავლო მხატვრულ ფილმს — „მაცი ხვიტიას“.

შეიძლება ისეთივე გადახრა იყოს მისი ახალი ფილმიც — „ძველი ვერის უბნის მელოდიები“, რომელზეც ამჟამად მუშაობს. ფილმის სცენარი ეკუთვნით გიორგი შენგელაიას და ანზორ სალუქვაძეს. მუსიკა ფილმისათვის დაწერა კომპოზიტორმა გიორგი ცაბაძემ. მთავარ როლებში არიან — სოფიკო ჭიაურელი, ვახტანგ კიკაბიძე, რამაზ ჩხიკვაძე, ეროსი მანჯგალაძე, დოდო აბაშიძე.

მომავალი ფილმი ქართული კინოსათვის სრულიად ახალ ჟანრს — მიუზიკლს განეკუთვნება, რაც ხელოვანისაგან მოითხოვს სპეციფიკურ მიდგომას, რათა ფილმი ერთსა და იმავე დროს იყოს სანახაობითი, სიუჟეტური და მუსიკალური.

რითი აგრძელებენ ძმები მშობლების ტრადიციებს?

ელდარი: „ახალი დრო აყენებს ახალ პრობლემებს, რომლებიც თავიანთი ფესვებით, თავიანთი მარადიული არსით მტკიცედ არიან დაკავშირებული იმ პრობლემებთან, დედას და მამას, მათ სახელოვან მეგობრებს რომ აღელვებდნენ. ჩვენ გვინდა შევქმნათ, ავსახოთ და გამოვიკვლიოთ ცხოვრება, მისი სულიერი ფასეულობანი. ამაში ვხედავ მე მამის ტრადიციის გაგრძელებას“.

გიორგი: „ზნეობრივი და ესთეტიკური პოზიციების აბსოლუტური ერთიანობა, იდეის გამოხატვის ფორმის ისტორიული განპირობებულობა ჩემთვის ყველაზე ძვირფასია მამის მემკვიდრეობაში. მამა და მისი თანამოაზრენი თავიანთი მოქალაქეობრივი ინტერნაციონალური იდეების თანმიმდევრულ ხორცშესხმაში ხედავდნენ ხელოვნების მთავარ მიზანსა და აზრს. სწორედ ამაში მინდა ვიდგე მათ სიმაღლეზე, როგორც მოქალაქე და ხელოვანი. პირველ ყოვლისა, ამაში ვხედავ მშობლების მიერ ჩვენდამი გადმოცემული ტრადიციისა და პრინციპების მემკვიდრეობას“.

ძმებს შენგელაიებს ჯერ კიდევ არ უთქვამთ მთავარი სათქმელი. წარმატება ვუსურვოთ სახიჭადულო დედმამიშვილებს!

ნადია მეგალიშვილი



ნატო ვაჩნაძე



ნიკოლოზ შენგელაია



სურათზე: მარცხნიდან — გიორგი შენგელაია, არიადნა შენგელაია, სოფიკო ჭიაურელი და ელდარ შენგელაია.

შეხვედრა რეჟისორთან

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფილმფონდის თბილისის კინოთეატრ „კოსმოსში“ გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კინორეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიას დაბადების 70 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

საღამო გახსნა ფილმფონდის მეცნიერ თანამშრომელმა, კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა მედეა მიქაძემ. იუბილარის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრა საქართველოს სახალხო არტისტმა, რეჟისორმა დავით რონდელმა.

ნიკოლოზ სანიშვილს მიესალმნენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლეილა აბაშიძე, დამსახურებული არტისტი დოდო ჭიპინაძე, მსახიობი ბადრი ბეგალიშვილი, ფილმფონდის მეცნიერი თანამშრომელი სვეტლანა გეევა და სხვები.

ოქტომბრის რაიონის ლარმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას გულთბილი შეხვედრისათვის.

ნიკოლოზ ბოლოს წარმოადგინეს ნიკოლოზ სანიშვილის ფილმების — „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, „შენი სიმღერა“, „დავით გურამიშვილი“, „შეხვედრა“ და ნაწყვეტები და ახალი მხატვრული ფილმიდან „არა-რამა“.

მეგობრობის საღამო

„ხალხთა მეგობრობის საღამო“ შეიძლება ვუწოდოთ შეხვედრას, რომელიც ბერძენ პოეტ ჭალს ფოტულა იანაკოპულუ-პაპაიოანუსს მოუწყეს ამ დღეებში ხელოვნების მუშაკთა სახლის ბიბლიოთეკის მუშაკებმა და მკითხველებმა.

საღამო გახსნა ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვახტანგ ჯახუტაშვილმა. პოეტი ქალის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკა მწერალმა გიორგი მაზურინმა. სიტყვით გამოვიდნენ მწერალი ანა ღვინიაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი თამარ თვალიაშვილი, პოეტები ნელი გაბრიჩიძე, ოვანეს კარაიანი, დრამატურგი ანა აგლაძე, მეცნიერი მუშაკი მიხეილ გურჯიევი. საკუთარი ლექსი მიუძღვნა პოეტ ქალს ხალხურმა მთქმელმა ლამარა გორდაშვილმა. პოეტებმა ნანა გვარიშვილმა, ვახტანგ გორგანელმა და მწერალმა სიმონ წვერავამ წაიკითხეს ფოტულა იანაკოპულუს ლექსების თარგმანები.

დასასრულ ფოტულა იანაკოპულუმ მადლობა გადაუხადა შეხვედრის მონაწილეებს და წაიკითხა თავისი ახალი ლექსები.

სპორტული ქრონიკა

ჩვენი ქვეყნის პირველობაზე გამართულ უკანასკნელ ორ მატჩში თბილისის „დინამომ“ ორი გამარჯვება მოიპოვა და აქტივში სამი ქულა ჩაიწერა.

როსტოვის არმიელებთან შეხვედრაში თავი გამოიჩინა ფირუზ რეხვიაშვილმა, სწორედ მის მიერ გატანილმა ორმა ბურთმა მოუტანა გამარჯვება ქართველ სპორტსმენებს.

რაც შეეხება მატჩს ერევნის „არარატთან“, აქ რომელიმე ფეხბურთელის გამორჩევა ძნელია, მთელი ჩვენი გუნდი ორივე ნახევრის განმავლობაში სრულად ფლობდა ინიციატივას, ბურთის გასატანი მომენტები კი, რომლებსაც სპორტის კომენტატორები „ასპროცენტიანს“ უწოდებენ, სულ ცოტა 7-8 მაინც იყო, მაგრამ თამაშის ბედი კვლავაც თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმების სერიამ გადაწყვიტა. აქ თავი გამოიჩინა ჩვენმა მეკარემ დავით გოგიამ, რომელმაც სამი თერთმეტმეტრიანი აიღო, მატჩი, რომელმაც თბილისელებს ერთი ქულა მოუტანა, დამთავრდა ანგარიშით 4:3.

მადრიდში გამართულ ძალოსანთა ასპარეზობაში თავი გამოიჩინა საქართველოს წარგზავნილმა 35 წლის დიტო შანიძემ.

მიუნხენის ოლიმპიადაზე ახალგაზრდა ბულგარელმა ძალოსანმა ნურიკიანმა შეძლო დიტოს უკან ჩამოტოვება და, როგორც იტყვიან, თვალსა და ხელშუა გამოსტაცა ოქროს მედალი. ყველას ეგონა, ამ მარცხის შემდეგ შანიძე პოზიციებს დათმობდა და დიდი სპორტიდან წავიდოდა, მაგრამ ქართველ სპორტსმენს ფარ-ხმალი არ დაუყრია და რევანშისათვის საგულდაგულოდ მოემზადა — ევროპის პირველობაზე მადრიდისაკენ მიმავალ გუნდში ქვემსუბუქ წონაში საბჭოთა კავშირის ღირსების დაცვა კვლავ მას მიენდო.

პირველი მოძრაობით — ატაცით — დიტომ მხოლოდ 120-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და მესამე ადგილი მოიპოვა, სამაგიეროდ, აკვრაში ბადალი არა ჰყავდა. ოლიმპიური ჩემპიონი 2,5 კილოგრამით ჩამოიტოვა.

ორჭიდში მან 272,5 კილოგრამი დააგროვა და ევროპის ჩემპიონის სახელი შეინარჩუნა.

ბათუმელი გოგონა



შენობაში გამეფებულმა სიჩუმემ მანიშნა, რომ ბინადართ „დასვენების საათი" დასდგომოდათ. სართულის მორიგეს ვკითხე, რუსუდან სიხარულიძე რომელ ოთახში ცხოვრობს-მეთქი.

— მაყვალთვალება? — გაიღიმა მასპინძელმა და დავთარში ჩაუხედავად მიპასუხა — 225-ში, თან დასძინა — სძინავს, ერთი საათის შემდეგ მობრძანდითო...

სანაპიროს მივაშურე. ლესელიძის პლაჟზე ხალხმრავლობა იყო, შავი ზღვის ლურჯი ტალღები საბანაოდ ეპატიჟებოდა დიდსა თუ პატარას...

ერთი საათის შემდეგ კვლავ სასტუმროში ვიყავი. ხუთი წუთი და რუსუდანიც გამოჩნდა.

მართლაც მაყვლის თვალები ჰქონია-მეთქი, გავიფიქრე გუნებაში. გავეცანი — ვუთხარი, რედაქციიდან ვარ და თქვენზე წერილის დაწერას ვაპირებ-მეთქი... შევატყე, ესიამოვნა, თქმით კი არაფერი უთქვამს. ვთხოვე საკუთარ თავზე თხრობა რაც შეიძლება შორიდან დაეწყო, თუმცა სადა აქვს ამ გოგონას შორეთი — 19 წელი ორიოდე თვის წინათ შეუსრულდა.

ფიზკულტურის მასწავლებლის ანგელინა გაბრიაძის შეკითხვაზე — ბავშვებო, სპორტის რომელი სახეობა მოგწონთო, რუსუდანმა ტანვარჯიში ირჩია. რატომ? იქნებ დედის ახალგაზრდობის გატაცებას სცა პატივი, იქნებ განსაკუთრებულ სიყვარულს აღმზრდელისას, რომელიც ტანვარჯიშის მწვრთნელი გახლდათ, ან იქნებ შინაგანი მოწოდება იყო, მსოფლიო სარბიელზე ქვეშეცნეულად რომ უხმობდა პატარას...

პირველი გაკვეთილიდან გაიარა ერთმა წელიწადმა და საქართველოს პირველობაზე პირველთანრიგოსან გოგონათა შორის რუსუდანი პირველი იყო.

1967 წელს კი ბათუმელმა გოგონამ საერთაშორისო ნათლობა მიიღო, საფრანგეთის ტანმოვარჯიშეებთან გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში მესამე ადგილი დაისაკუთრა. გავიდა კიდევ ერთი წელიწადი და რუსუდან სიხარულიძე, როგორც საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, ბულგარეთში გაემგზავრა. იქ გამართულ სოციალისტური ქვეყნების „დინამოს" პირველობაზე წინ მხოლოდ ელვირა საადი გაუშვა და შინ ვერცხლის 4 და ოქროს ერთი (დვირზე ვარჯიშისათვის) მედალი წამოიღო.

გადიოდა წლები და ბათუმელ გოგონას ოსტატობას ტაშს უკრავდნენ უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთსა და იუგოსლავიაში ..

1971 წლის თებერვალში რუსუდანი საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ლუდმილა ტურიშჩევა, ოლგა კარასიოვა, ლარისა პეტრიკი და ზინაიდა ვორონინა, ამერიკას ეწვია... რუსუდანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი, თავისი 17 წლის მიუხედავად, ერთ-ერთი უძლიერესი იყო ჩვენს ნაკრებში. პირველ შეჯიბრებაზე მან წინ მხოლოდ ტურიშჩევა და ვორონინა გაუშვა, მეორედ კი მხოლოდ ტურიშჩევამ შეძლო მისი გასწრება...

დადგა 1972 წელი, წინ იყო ყველაზე მთავარი და პასუხსაგები შეჯიბრება — მიუნხენის ოლიმპიადა. რუსუდანი და მისი აღმზრდელი ამ ასპარეზობაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, იმედით ვიყავით ჩვენც, მისი გულშემატკივრები. გვწამდა, რუსუდანი ხელმოცარული არ დაბრუნდებოდა შინ, მაგრამ... სწორედ მაშინ,



როცა მიუნხენში წასვლამდე ესოდენ ცოტა დრო იყო დარჩენილი, რუსუდანმა ფეხი იტკინა. ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა. მსოფლიოს საუკეთესო ტანმოვარჯიშეებთან ჭიდილი განუხორციელებელ ოცნებად იქცა. საბედნიეროდ, ფორტუნას ღალატი დროებითი გამოდგა. 1972 წლის ნოემბერში რუსუდანმა კვლავ საწვრთნელ დარბაზს მიაშურა, მის გვერდში, როგორც ყოველთვის, საყვარელი აღმზრდელი ანგელინა გაბრიაძე იდგა...

მონდომებამ თავისი გაიტანა, ქართველი ტანმოვარჯიშე ისევ დაუბრუნდა საბჭოთა ნაკრებს, იგი კვლავ იმ გუნდის წევრი გახდა, მიუნხენის ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონის სახელი რომ მოიხვეჭა. და აი კვლავ შორეთს მიმავალი გზა. მსოფლიოს საუკეთესო ტანმოვარჯიშეები — ოლგა კორბუტი, ლუდმილა ტურიშჩევა, თამარ ლაზაკოვიჩი, ანტონინა კოშელი, ლუბოვ ბოგდანოვა და რუსუდან სიხარულიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიპატიჟეს. არნახული წარმატება ჰქონდათ მთელი მოგზაურობის დროს საბჭოთის წარგზავნილებს. ქება-დიდებას ბოლო არ უჩანდა, ხალხით სავსე დარბაზები სულგანაბული შესცქეროდნენ „ჩვენი საუკუნის ჯადოქართა" არნახულ სპექტაკლებს. იმ დღეებში ერთნაირად იყო აღტაცებული ნიუ-იორკი და ლოსანჟელესი, ფილადელფია და ჩიკაგო... თითოეულს თავისი მიუზღვეს პრესის წარმომადგენლებმა: ტურიშჩევას „ყოველთვის გამარჯვებული" უწოდეს, კორბუტს — გულადი, რუსუდანს — საქართველოს ულამაზესი ასული... ტრიუმფული სვლა ამერიკის პრეზიდენტთან სტუმრობით დამთავრდა. შინ მომავალთ მილიონობით გულშემატკივართა სითბო გამოჰყვათ...

დღეს რუსუდანი და მისი მეგობრები ლესელიძეში არიან შეკრებაზე, უნივერსიადისთვის ემზადებიან.

საათობით ვარჯიშობენ, კიდევ და კიდევ ამუშავებენ ურთულეს ილეთებს, სერიოზულ სახეებს იშვიათად თუ გადაჰკრავს ღიმილი... მაგრამ, მთავრდება ვარჯიშისათვის განკუთვნილი დრო და დარბაზში მხიარული კისკისი გაისმის, რუსუდან სიხარულიძესა და ნინა დრონოვას, ლუდმილა ტურიშჩევასა და ელვირა საადს ზღვისაკენ მიეჩქარებათ...

შევცქერი მათ და მწამს, რომ აქ, საქართველოს ამ ულამაზეს კურორტზე იწყება ოლიმპისაკენ მიმავალი გზა, რომელსაც სხვებთან ერთად მაყვალთვალება გოგოც დასდგომია...

რევაზ მაჭავარიანი

* * *



სურათებზე: ვარჯიშობს რუსუდან სიხარულიძე.
ეს საჩუქარი ბათუმელ გოგონას ლოს-ანჟელესში მიართვეს.
მწვრთნელი ანგელინა გაბრიაძე მუდამ რუსუდანთან არის.

მალხაზ დათიკაშვილისა და სერგო ედიშერაშვილის ფოტოები.

დაგეძებენ, მოგელიან

მაკარი (ბონდო) ისაკის ძე ოდიშარიას,

დაბადებულს 1916 წელს ქალაქ ცხაკაიაში, ეძებენ — დედა — **მაკრინე**, მამა — **ისაკი**, და — **თამარ ოდიშარიები**, მცხოვრებნი ქალაქ ცხაკაიაში, რუსთაველის ქუჩა № 157.

შალიკო ნიკოლოზის ძე მჭედლიშვილს,

დაბადებულს 1916 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში, ეძებენ დედა — **კეკე**, და — **ფლორა**, შვილი — **ვაძიკა მჭედლიშვილები**, მცხოვრებნი სოფელ ქვემო მაჩხაანში.

ალექსანდრე პავლეს ძე შალიკაშვილს,

დაბადებულს 1913 წელს წულუკიძეში (ყოფილი ხონი), ეძებენ დედა — **ნინო**, ძმა — **მიხეილი**, ძმისწული — **ემზარ შალიკაშვილები**, მცხოვრებნი თბილისში, სუმბათაშვილი-იუჟინის ქუჩა № 7.

ნიკოლოზ ილიას ძე ხატისკაცს,

დაბადებულს 1913 წელს კასპის რაიონის სოფელ სამთავისში, ეძებენ მეუღლე — **ანა**, შვილები — **ტრისტანი**, **ილო**, და — **ნინო**, ძმა — **პავლე ხატისკაცები**, მცხოვრებნი სოფელ სამთავისში.

გიორგი (ქარუმა) სპირიდონის ძე ტურაშვილს,

დაბადებულს 1922 წელს ყვარლის რაიონის სოფელ ენისელში, ეძებენ დედა — **მარო**, მამა — **სპირიდონი (ფირო)**, და — **თამარი**, ძმა — **ზურაბ ტურაშვილები**, მცხოვრებნი სოფელ ენისელში.

მიხეილ დავითის ძე ჩხაიძეს,

დაბადებულს 1920 წელს ქალაქ მახარაძეში, ეძებს დედა — **გოგუცა ჩხაიძე**, მცხოვრები მახარაძეში, აკაკის ქუჩა № 10.

გრიგოლ (გრიშა) გერასიმეს ძე ბერძენიშვილს,

დაბადებულს 1920 წელს ფოთში, ეძებს დედა — **ეკატერინე ბერძენიშვილი**, მცხოვრები ფოთში, მიქაბერიძის ქუჩა № 44.

ძმებს სამსონ, ივანე, ისიდორე გიორგის ძე ხეცურიანებს,

დაბადებულთ 1915, 1918 და 1920 წლებში ცაგერის რაიონის სოფელ ზედა ღვირიშში ეძებს დედა — **მელანო ხეცურიანი**, მცხოვრები სოფელ ზედა ღვირიშში.

გრიგოლ და ვასილ ვლადიმერის ძე კილაძეებს

დაბადებულთ 1915 და 1917 წლებში ქალაქ ქუთაისში, ეძებენ დედა — **ნადია**, მამა — **ვლადიმერი**, მეუღლე — **თინა**, შვილი — **ირა**, დები — **სონია და ლენა**, ძმა — **კუკური კილაძეები**, მცხოვრებნი ქუთაისში, დავითაშვილის (ყოფ. არტილერიის) ქუჩა № 22.

სერგო რაჟდენის ძე ბაკურაძეს,

დაბადებულს 1912 წელს ვანის რაიონის სოფელ გადმა ვანში, ეძებენ ძმა — **იონა**, დები — **მარგალიტა და ქეთევანი**, შვილები — **მერი**, **გურამ**, **ვიტალი ბაკურაძეები**, მცხოვრებნი ბათუმში, პავლოვის ქუჩა № 19.

გრიგოლ ამბაკოს ძე მანჯავიძეს,

დაბადებულს 1913 წელს ხარაგოულის რაიონის სოფელ იგორეთში, ეძებენ მეუღლე — **მელანია**, შვილი — **ზაირა**, ძმები — **დავით**, **კონსტანტინე**, **სევარიონ მანჯავიძეები**, მცხოვრებნი მცხეთაში, ტელმანის ქუჩა № 1.

ივანე სიმონის ძე ნიორაძეს,

დაბადებულს 1920 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ ძირულაში, ეძებს დედა — **მარიამ ნიორაძე**, მცხოვრები სოფელ ძირულაში.

დავით და შოთა ნიკოლოზის ძე სამხარაძეებს,

დაბადებულთ 1916 და 1919 წლებში ჭიათურის რაიონის სოფელ შუქრუთში, ეძებენ მეუღლე — **თამარი**, შვილები — **ეთერი**, **ჯემალი**, ძმები — **ვანო**, **მიშა**, ძმისწულები — **ნიკოლოზ და დალი სამხარაძეები**, მცხოვრებნი სოფელ შუქრუთში.

რედაქტორი **გივი ქარბელაშვილი**

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.